ინვალიდთა და ბლეჟთა კომიტეტების ყოფა-ცხოვრება

კვირა, თებერვალის 3. 1924 წ. № 4. ფასი 20 კ. ჩ.

სახელოვანი ოჯახი

ვასო აბაშიძე
(მამა)

მაკო საფაროვ აბაშიძისა
(დედა)

ტასო აბაშიძე
(შვილი)

ტასო აბაშიძის 25 წლის იუბილეს გამო თებერვლის 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ № 4 (7)—1924 Წ.

მეთაური—მელპომენე და თემიდა.
ვ. რუხაძე—ძიების კარზე, ლექსი.
ივ. გომართელი—კრიტიკული შენიშვნები
იოსეფ იმედაშვილი—რა დავარქვათ?
ეფ. მესხი—ქართველი ქალი სცენაზე.
ილიკო აბაშიძე—მუსიკის მნიშვნელობა.
ნინი ჩიხლაძე—დღიურიდან.
დ. თორდოსპირელი—ღორი.
ნიკ. გვანცალაძე—ფიქრები.
ლავროს ძიძიგური სოფელში.
შიო მღვიმელი—ექიმთან.
გობრონ აგარელი—მომაკვდავი საღამო.
გენო—ქუჩაში.
ი—ელი—ჩვენი მხატვრები.—ირ. თოიძე.
კაიუს პელი—რევოლიუცია.
ტერენტი გრანელი—ექსკურსიები ცისკენ.
ლანორი—ჩვენი პოეტები—ტერენტი გრანელის პოეზია.
ვანო ბარველი—რეჟისორი.
ვახტანგ გარრიკი—ქართ. თეატრის ოდისეია.
ს. მგალობლიშვილი—გახსენება.
ჯან გალობი—გმირის ბედი.
ნ. ინასარიძე—ხალხი და თეატრი.
უჩინ-მაჩინი—კვირიდან-კვირამდე.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ:

ევ. შავიზღვისპირელი—სახიობა
ავჩიანი—ჟურ. თეატრი და ცხოვრება

ᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ:

X—ინვალიდთა შორის.
ხელოვნების ქრონიკა.

დამსახურებული მსახიობქალი ელ. ჩერქეზიშვილი
მისი ბენეფისის გამო ქუთაისში თებერვლის 7.

„თეატრი და ცხოვრება“ ს ფონდი

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ სასარგებლოდ შემოსწირეს:

1. სიმონ ბაბლიძემ თავისი გარდაცვალებულ შვილის ლადოს ხსოვნისათვის 250 მილ.

დარეჯან ნიკ. მგალობლიშვილის ასულის
ბიერ შეკრებილი:

2. გიორგი მეჭურჭლიშვილისგან 75 მ.
3. დავით ძიძიგურისგან 410 მ.
4. თუმანოვისგან ნახევარ სტ.
5. შოთა დადიანისგან 118 მ.

ᲛᲝᲓᲘᲡ!!! **ᲛᲝᲤᲠᲘᲜᲐᲕᲗ!!!**

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

„ᲑᲘᲚᲘᲢᲘᲗᲘᲜᲐ“

ᲛᲘᲚᲝᲒᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

1910 XIV ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲣᲗᲘᲡᲛᲔᲢᲔ XIV **1924**

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲗᲔᲐᲢᲠᲝ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲚᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐ, ᲛᲣᲡᲘᲙᲐ, ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ, ᲥᲐᲜᲓᲐᲙᲝᲜᲒᲘ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲔᲑᲭᲔᲑᲘᲗ: ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲞᲘᲔᲡᲔᲑᲘ, ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲗᲔᲑᲘ, ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲘ, ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ, ᲗᲔᲐᲢᲠᲝ-ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ-ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡᲐ, ᲠᲔᲪᲔᲜᲖᲘᲝ-ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲜᲘ, ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲗᲐ ᲡᲣᲠᲗᲐᲗᲔᲑᲘ, ᲨᲐᲠᲜᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ.

ᲛᲝᲜᲐᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲮᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚ ᲓᲔᲓᲐᲜᲘᲡ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ.

ᲤᲐᲡᲘ: წლიურად . . 10 მან. ჩერ.
ნახევარ წლით . 6 „ „
თითო ნომერი . 20 კაპ. „

მოიკითხეთ რკინის გზის კიოსკებში და გაზეთის გამყიდველებთან.

წლიურ ხელის მომწერთ გასული 1923 წ. ნომრები **უფასოდ მიეცემა.**

მიიღება დასაბეჭდად განცხადებანი დაკლებულ ფასებში.

რედაქცია: თავისუფლების მოედანი, ყოფ. ქარვასლა თამამშვილისა, შიგნით მეორე სართულზე.

რედაქტორის პირისპირ ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციაში.

რედაქტორი: **იოსებ იმედაშვილი.**

გამომცემელი: **ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე“.**

თეატრი და ცხოვრება

1910-1924

წელიწადი XIV

№ 4

ფასი 20 კ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი
რედაქციის დრ. ბინა: თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამამშევის ქ.რვასლა, მეორე სართულზე № 606.
ფოსტით: ტფილისი. რედ. „თეატრი და ცხოვრება“
იოსებ იმედაშვილს.

თეატრი. პოეზია. მუსიკა მხატვრობა. ქანდაკობა. საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. ‖ კვირა, თებერვლის 3 ‖ გამოცემა 1924 წ.

იანვრის 31

მელპომენე და თემიდა.

მოკლეა ჩვენი თეატრის ისტორია,—სასახლის წარმოდგენებიდან რაღაც 133 წ., გ. ერისთავის სცენიდან—74 წ., ხოლო სახალხო თეატრის დაარსებიდან 30 წ. გასული, მაგრამ ყოველი ნაბიჯი მოოქრული,—

ტანჯვა-წამებით დაწერილი, მაგრამ მზიურ ელვარებით აღბეჭდილი,—

რადგან ჩვენი თეატრი წარსულში არარაისაგან შეიქმნა, ჯოჯოხეთურ პირობებში აღიზარდა,—

რადგანაც იგი იყო ჩვენის ერისა და ხალხის საერთო ოჯახი, დიდი ტაძარი, წმიდა სამლოცველო, სადაც ხშირად მაღალხელოვნურ წარმოდგენასთან, თავისთავადობითი ნიჭით ანთებულ ცეცხლთან ერთად, მუდამ განუქრობელად გიზგიზებდა მოქალაქეობის, საზოგადოებრიობისა და ეროვნობა-ხალხოსნობის ზოგადი კოცონი.

მისი ზეშთამგონებელი იყო მელპომენე, გზის მაჩვენებელი—თემიდა, მცველი—უბიწო ვესტა.

და ჩვენი თეატრიც თანდათან იზრდებოდა, რადგანაც სწამდა:

„აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა!“

ჩვენი თეატრის დღევანდელი, შედარებითი, სიმაღლეც ამის შედეგია.

ჩვენ დღეს არც ეს გვაკმაყოფილებს,—ღრმად გვწამს მომავალში მისი განვითარება, ამაღლება.

ასე რომ არ იყოს—ნუმც ვყოფილვართ!

მაგრამ ერთის პირობით: მუდამ დაცული იქნეს ხელოვნების სიწმინდე,—

მშვენიერ გარეგნობა-სანახაობასთან ერთად მაღალი შინაარსი, საკაცობრიო იდეალებთან ერთად მშობელი ქვეყნის წყლულთა და მანკიერებათა განსახიერება.

ეს უნდა იყოს როგორც გრძნობა-გონების ამამაღლებელი, ისევე საზოგადოებრივ მისწრაფებათა გამღვიძებელი, როგორც გამწვრთნელი, ისევე გამაკეთილშობილებელი, რომ თეატრის დარბაზიდან გამოსულმა მაყურებელმა იგრძნოს და სთქვას: ვიყავ არარა, ქვენა გრძნობათა ჭურჭელი, ამიერიდან მოვინათლე, **ზეკაცად** გარდვიქმენიო!..

...ეს წერილი გამოიწვია ქართველ ახალგაზრდა მსახიობთა ერთი ჯგუფის გამოსვლამ აკადემიურ თეატრში „ქართული თეატრის მანიფესტით“.

სურდათ თავისი „მანიფესტით გამოსვლა“, ქართული თეატრის „შლამიან ჭაობიდან“ ამოყვანა, „ქეთროვანთაგან“ გაწმენდა,—რაღა მაინცა და მაინც მოქმედების მსვლელობის დროს, გრიმებსა და ტანისამოსებში გამოწყობილებმა ისურვეს ეს?

რას ერჩოდენ ავტორს, მხატვრულ მთლიანობას, მაყურებელ საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პიესის საცქერლად მოსულიყო?

ყოველივე ეს სადაც უნდა ხდებოდეს, აკადემიურ თეატრში კი ნუ!..

ჩვენი თეატრიდან ნუ გააფრთხობთ მელპომენეს, თემიდასა და მათი ცეცხლის განუქრობლობის მცველ უბიწო ვესტას!

დაე, ჩვენს თეატრს განმაახლებლად ეყუდნოს ჩრდილოეთის კენტავრი, მაგრამ უცხოეთის ტალღები კი ნუ წაჰლეკავენ!

***

ძიების კარზე ჩამოვკიდე ჩემი ჩანგური:
პოეტს არა აქვს სამყაროში არსად სადგური.
ის ყველგან არის, როგორც მზე და როგორც ჰაერი:
უყვარს განცდები ფერადი და ნაირნაირი.
ხან მეშვიდე ცას აცილდება, ხან უფსკრულშია:
მთელი მსოფლიო ხელთ უპყრია და მის გულშია.
პოეტს არა აქვს სამყაროში არსად სადგური:
ძიების კარზე ჩამოვკიდე ჩემი ჩანგური.

ვ. რუხაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დააშავეს ამათ?

გასული კვირის სამშაბათს, იანვრის 29-ს, აკადემიურ თეატრში, „ინტერესთა თამაში“-ს წარმოდგენის დროს ისეთი ამბავი მოხდა, რომ ქართული თეატრის ვერც ერთი გულწრფელი მეგობარი სიჩუმით გვერდს ვერ აუვლის.

მეორე მოქმედების შუა ადგილას ერთ-ერთმა მომქმედ პირთაგანმა გადმოაფრიალა შაჰინ-შაჰის ფირმანის მაგვარი „ქაღალდი“ და საზოგადოებას რიხიანად წაუკითხა... „მანიფესტი“.

ამავე დროს ქანდარიდან გადმოაპნიეს იგივე „მანიფესტი“ და რაღაც ფურცლები, რომლებშიაც უხვად შეხვდებით ჩვენი დროის „ოქროპირულ მარგალიტებს“: „თეატრის ვიროხეპო“, „ტომრებო“, „ბებერი კამეჩები“, „ლოგინი“ და სხ.

მერე ვის მიმართ?

იმათ მიმართ, რომელთაც ქართულ თეატრს საძირკველი ჩაუყარეს, მადლიანი ძუძუ აწოვეს, მთელი ოცდაათი-ორმოცი წელიწადი თავის ზურგით, ძარღვებით, გულით და სულით დღემდე მოიტანეს;

იმათ მიმართ, რომელთაც რუსეთის თვითმპყრობელ მეფეთა—ალექსანდრე-ნიკოლოზის ჟანდარმერიის შავი რეაქციის დროს ქართველი ხალხის, საქართველოს პროლეტარიატის გრძნობა-გონება ცხოვრების ახალმიზნისკენ მიმართეს,—უკეთესის მერმისისთვის საბრძოლველათ დარაზმეს.

ვინ იყვნენ ესენი?

ხელოვნების უდიდესნი ქურუმნი და ამავ დროს თვისი ქვეყნის საამაყო უკვდავი მოქალაქეშვილნი,—

ვასო აბაშიძე, საფაროვ-აბაშიძისა, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, კ. მესხი, ბაბო ავალიშვილი, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, ეფ. მესხი, ელ. ჩერქეზიშვილი, ქეთო ანდრონიკაშვილი, ნიხო ჩხეიძე და სხ.

ამათ ხომ თავისი სახელი სამშობლოს სცენისადმი უანგარო სამსახურით, უდიდესი ღვაწლით თვითონვე გააუკვდავეს, სახელოვანთა ისტორიის კუთვნილებად გარდაიქცნენ...

იქნება მეორე თაობის მსახიობთ ეჩებიან, 90-იან წ. შემდეგ გამოსულთ—შალვა დადიანს, ალ. იმედაშვილს, ტ. აბაშიძეს, ვასო ბალანჩივაძეს, ელო ანდრონიკაშვილს და სხ., რომელთაც წინაპართა ნაკვალევს არ გადაუხვიეს, ჩვენის ქვეყნის დაბასოფელში გლეხკაცობას თუ მუშა ხალხში მამულიშვილობის, ხალხოსნობისა და ხელოვნებისადმი სიყვარული განამტკიცეს!..

რა დააშავეს ყველა ამათ?

მხოლოდ ის, რომ მთელი ოც ორმოცი წლის განმავლობაში, თუმცა თავშესაფარი არა ჰქონდათ (სამშობლო სცენის წიაღში გერის მდგომარეობაში იყვნენ), არა ჰქონდათ სინათლე, სითბო, ჯამაგირი (წლიური), უმეტესად სიმშილობდენ, რუსთა თვითმპყრობელ მართველობისაგან მუდამ დატუქსულნი იყვნენ, მაინც შექმნეს ყოველივე, რაც სცენისთვის საჭირო იყო: ეროვნული და კლასიკური რეპერტუარი, წიგნთსაცავ-გარდერობი, მშობლიურ-ხალხური სცენის აუდიტორია და ქართულ სასცენო ხელოვნებას პატივ-დიდება მოუპოვეს.

ან იქნებ ის დანაშაული მიუძღვით, რომ უცხოეთში დიდრაჯობას სამშობლოში სიღარიბე ირჩიეს, კერძო სამსახურით ფუფუნებას—საზოგადო საქმით მშობლიურ სცენის ჰერქვეშ სიმშილი-წყურვილი!..

ან იქნება იმიტომ, რომ, რადგან ბინა არა ჰქონდათ, ხშირად სადმე კიბის ქვეშ რეპეტიციას ძლივს გადიოდნენ ერთი-ორჯერ, ხშირად ამასაც ვერ მოახერხებდნენ, და მაინც წარმოდგენას მართავდნენ, რათა ქართველის სულიერი წყურვილი და საზოგადოებრივი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინათ, სამშობლო ენა და ქართველობა შეენახათ, ხალხოსნურ-რევოლიუციონური იდეები ელვივებინათ.

საყვედური და მერე ვისგან?!

იმათგან, ვინც მუშურ-გლეხური მთავრობისგან წლიური ჯამაგირებით უზრუნველყოფილნი, აგარაკებით მოწყობილნი, საუცხოვო თეატრში დაბინავებულნი, თითო პიესის რეპეტეციას 50-ჯერ თუ არა 20-ჯერ მაინც გაივლიან,—საჭმელ-სასმელი აქვთ, დრო და ადგილი,—და, აი, ესენი უნდა უსაყვედურებდნენ ამავე სცენისათვის წამებულთ?

რა ავლა-დიდებით!—

არა ბუნებითი ნიჭით, არამედ ჯადო-რეჟისორის გაწრთვნის წყალობით.

ბოდიშს ვიხდით, მაგრამ ამავე „მანიფესტანტთა“ ლექსიკონის მიხედვით რომ ვსთქვათ, ასეთი გაწრთვნით ხომ ტომსონი სპილოებსაც ათამაშებდა, ნიკიტინი—ცხენებს...

იქნება უშლით ვინმე?

რომელი იყო, რომ ახალთაობას წინ გადაეღობა?

ნუ თუ ჩვენთვის სასიხარულო არ იქნება, რომ ახალი თაობა ძველებს სჯობდეს? ჩვენ ხომ მუდამ მტკიცედ ვიცავთ და ცხოვრებაშიც ვანხორციელებთ:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას?“

და ყველა ჩვენ ხომ შევხარით ახალ, ნორჩ ძალას, ჩვენის თეატრის მომავლის უანგარო ნიჭიერ მუშაკთ?

მაშ რაღა საჭირო იყო ღია კარში ბრახუნი?

იოსებ იმედაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ქალი სცენაზე

ერთ თავმომწონე ახალგაზრდას სადღაც ეთქვა: „მე ჯერ არ მინახავს, არ შევხვედრივარ სცენაზე მოთამაშე ქალს ზნეობით პატიოსანსა“ ო.

რა სამწუხარო აზრია...

თითქოს სცენის გარეშე არა ხდება ყოველივე უმსგავსობა...

ამბობენ, რომ არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ქალი იყოს მსახიობიც, რიგიანი დედაც და დიასახლისიც. მე კი, ჩემდათავად ვიტყვი, რომ ბევრი მინახავს ასეთი კერპთთაყვანისმცემელნი.

„სცენის ატმოსფერას, კულისებს ერთგვარი გავლენა აქვს ქალის ხასიათზე, ზნეზე, ყოფაქცევაზეო“.

ნუ დაივიწყებთ ამასთანავე, რომ არის ისეთი ბუნებიანი ქალიც, რომელსაც ვერავითარი სცენა ვერ შეურყევს ხასიათს. არიან ისეთებიც, რომელთაც სცენა თვალითაც არ უნახავთ, მაგრამ ზნეობით ვერა დგანან უმაღლეს საფეხურზე. მაშასადამე აქ სცენა არაფერ შუაშია.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ აზრის წყალობით, დიდ სათაკილოდ მიაჩნდათ და ეხლაც ბევრს მიაჩნია სასირცხვოთ ქალის სცენაზე გამოსვლა.

ქართველი ქალი უნდა იზრდებოდეს ტრადიციულად კარგ მეოჯახეთ, კარგ დედათ. რას მიქვიან თეატრი, სცენა, სანახაობა? სირცხვილია!

მსახიობქალი მარგარიტა ქილარჯიშვილი.

მოსკოვს გაემგზავრა დრამატიული ხელოვნების შესამთავრებლად.

დღიურიდან

1924 წ. 26 იანვარი,

დღეს დიდი ზეიმი მაქვს...

ზეიმს შემდეგ გაიმართება ამერიკული აუქციონი.

იყიდება—თანამედროვე ქართველი ქალის ხუთი წლის ამაყი სიყვარული.

ა?! ძველია? არა,—მერწმუნეთ: ასეთ საქონელს ხავსი არ ეკიდება.—ხა, ხა—ა!..

თქვენ გნებავთ? ყალბი გგონიათ?!..

ნუ, ნუ ზვერავთ—ის ამაყია და...

თქვენს იჭვიანს თვალებს როდი დააცდის ახედვ-დახედვას!?..

აბა, ვის უნდა?!

ვინ რას იძლევა?

თქვენ ახალგაზრდავ!?

— სკეპტიციზმს, პესიმიზმს,—კიდევ ბევრ სიტყვებს და—გრძნობების გასტრონომიას, გალანტერეიას ..

თქვენ?

-- ფერადებს, შროშნებს ..

ფერადები, შროშნები—ერთი!

იები, სურნელება.—ვინ მეტს?

ღიმილი, გატაცება, სიგიჟე'.. კიდევ?

სხვები... ვინ...

არავინ?..

ეს ხომ ჩარჩოა!

აუქციონი გადადებულია!!!.

ზეიმი გრძელდება...

ნინო ჩიხლაძე.

ღორი

ღრუტ-ღრუტით გაჩერდა პაწია ყვავილთან „არ დამივიწყო“-სთან ღორი, დაჰსუნა, იუკადრისა, მოკორტნის ღირსადაც არ გაჰხადა.

— რა უსამართლოა ადამიანი!—მოიჩივლა მან: როგორ ვერ ისწავლა ყადრ-ყამაათი თვისი მრჩენელისა... მე რომ არა ვყვანდე ჩემს პატრონს—თქვენი მტერი! გაუჩანაგდება ოჯახი... ქონს ბარაქიანს ვაძლევ... სუკებს—საგულისგულოს... მთელ ზამთარს ჰყოფნით ჩემი შაშხი... ბასტურმად მე უნდა ჩამდონ... ნადიმობის დროს მე ამაშიშხინებენ მწვადებად... ჩემი ჯაგარიც კი დიდად სასარგებლოა... მემრე მაფასებენ? მაინც საგინებლადა ვყევარ გადაქციული... სახელიც კი უგასაგისო, მომყივნებელი დამარქვეს... აბა რა სახელია „ღორი“... მე ხატიბადა ვყევარ გადაქცეული უწუფთაობისა და გაუმაძღრობისა... ყველა ბინძურს და მსუნაგ კაცს ღორს უწოდებენ... საკმარისია რომელიმე თავმომწონე კაცს უწოდონ ღორი, რომ იგი ან შეაკვდება, ან შუბლს გაიხვრეტს ტყვიით...

ეს ერთი ციცქნა ყვავილი კი, რომელიც კუჭს ვერ გააძღობს და სრულიად არაფრის მაქნისია,—ტურფად გადაუქცევიათ, ლამაზი სახელი „არ დამივიწყო“ უწოდებიათ.

უპრიანი არ იქნებოდა ჩემთვის ეძლვნათ ეს სახელი?—სავსე გულის წყრომით ჰკითხულობდა ღორი და ქორფა დინგზე ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

დ. თურდოსპირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, სხვა რომ არა იყოს რა. განა მარტო ეს სცენაზე სასსახური არა კმარა ქალისაგან? განა ეს ცოტაა?

ვინც არ ყოფილა სცენაზე, ვინც დაახლოებით არ იცნობს მსახიობის მუშაობას, მის განცდას, მას არ შეუძლიან დაბეჯითებით ამაზე კამათი.

საბედნიეროდ ქართველმა ქალებმა გაწყვიტეს ეს მონობის ჯაჭვი. ისინი ეხლა თავისუფლად ირჩევენ ცხოვრებაში ბრძოლის ასპარეზს, ისინი არ შეუშინდებიან მოთქმა-მოთქმას და თამამად გამოვლენ სცენაზეც, თუ კი მათ ექნებათ ამისათვის ნიჭი და უნარი. და თუ ჩვენს ეროვნულ სცენასაც ეწვევა უცხოეთიდან შემოტანილი ავი ზნე—ქართველი ქალი შესძლებს ამის განდევნას.

თეატრი, სცენა, სიწმინდის ტაძარია, საკურთხეველი, სადაც შენ ნიგაქვს შენი გულის თქმა, საუკეთესო ზრახვანი შენი გულისა. როგორც წინეთ ეკლესიაში, აღსარების დროს არ შეიძლებოდა შესვლა გაუბანელ-გაუწმენდელად,—ისე თეატრშიაც. შენ ხარ ქურუმი ამ ტაძრისა და გმართებს მტკიცეთ დაიცო მისი სიფაქიზე. თეატრის საფეხურთან დასტოვე, დაივიწყე შენი პირადი ცხოვრება და შედი შიგ სულ სხვა ადამიანად.

ეფ. მესხი.

მუსიკის მნიშვნელობა *)

მუსიკას, როგორც სოციალურ ხელოვნებას, ეკავა და უკავია ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებაში გამორკვეული ადგილი, გამორკვეული მდგომარეობა. იგი მოქმედობს მის სულოვნობაზე—მის ფსიხიკაზე—მის გუნებაზე კეთილშობილობით;

შველის მას მუშობაში და დაშშანებით უადვილებს ცხოვრების სიდუხჭირეს.

ოდნავათაც რომ მიიხედ მოიხედოთ, დაუკვირდეთ ცხოვრების მიმდინარეობას, თქვენ დაინახავთ, რომ უმუსიკოთ არაფერი კეთდება. ყოველი მიხვრა-მოხვრა, ყოველი ფეხის გადადგმა სწარმოებს სიმღერით, რომელიც რაღაცას აგრძნობინებს მას—ან სიამოვნებას, ან ანუგეშებს—უქარვებს სევდა ნაღველს.

მაგალითად, მომღერალ ჯარის კაცების სიარული და მათი ლექსების კილო გიტაცებთ და იმათთან ერთად ფეხს აყოლებო; გაშლილი ლხინის მელოდია ძარღვს—ნერვსა სწვდება, უნებლივ გიტაცებთ, გიერთებთ ეს სურათი და გსურთ აჰყვეთ ამ მოძრაობას.

ან თუ ჰხვდებით ცხედრის გასვენება-დასაფლავებას, ორკესტრით ან მგალობელთა გუნდით, როგორ მოქმედობს ეს თქვენზე?

ან მუშაობაში ხართ გართული, რა საკვირველია, თქვენ მუშობას—თან სდევს მღერა, რომელიც

*) ქუთაისის თეატრში იანვრის 15 სახალხო ლოტბარ-მომღერლის ძუკუ ლოლეას საზეიმო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა.

ფიქრები

შუქურვარსკვლავს უკვე ნაკოცნი ჰყავდი, რომ ცისკარმა სიყვარული გამოგიცხადა.

ტოფობის ღმერთამ სათნოების გვირგვინი მორთო, ვარდ-ყვავილებში ჩაფერქვია ვნების გრიგალი და მოუთმენლად მოელოდა შენგნით არჩევანს.

ცელქმა ამურმა შვილს მოქიმმა დაუზოგავად და შენს არჩევანს მოუთმენლად ისიც ელოდა.

შენ კი ფიქრობდი,
სდუმდი,
ახანებდი.

დრო-კი თავისას არ იშლიდა და მიჰქროდა საუკუნის მიწურულებში.

შუქურვარსკვლავმა გულგრილობა დაითაკილა, სხვასაც აკოცა და საყვარის გადაურბინა.

დღის ცისკარმა, დარცხვენილმა, დღისით თავი ვეღარ გამოყო.

ვარდ-ყვავილებიც გადააჭკნო დროთა მსვლელობამ და ტრფობის ღმერთთან ერთად განქრა ვნების გრიგალი.

ამურმაც შვილდი გულგრილობას გადაამტვრია და გაეშურა ტრფობის ღმერთთან მისაფერებლად.

შენ კი სულ სდუხარ,
ოხრავ,
ფიქრობ...
— რაზე ფიქრობ, ჩემო ლამაზო?
— არჩევანზე, ცნობებსა ვკრეფავ.

ნიკ. გვანცალაძე.

სოფელი...

(ბაბო ვაჩნაძეს)

დაშორებული ტფილისს,
გადმოვიკარგე სოფლად,
სულში ქარები მივლის,
დავეხეტები ობლად.

არავინა მყავს ახლო,
მოწყენით მარტო ვიჯდი,
ხელი ვის უნდა ვახლო,
თუ შორით იწყებ ლიკლიკს...

ვზიავარ მარტოკა ცაცხვთან,
ხიდან ჭრიჭინა მართობს,
თქვენი დანახვა ჭასთან
მხოლოთ შორიდან მათრობს...

მოქუხს ცრემლების ლავა,
აზვირთებული ძალზე,
მინდა მოვიკლა თავი
ლამაზ ლალისფერ ხალზე...

ო, ასეთია ხვედრი
გადმოხვეწილი მწირის,
ჩემს ბედს მარადის ვყვედრი
გულიც სტირის... და სტირის...

ლავროს ძიძიგური.

ს. ვაჩნაძიანი.

გიადვილებთ რა მუშაობას, გიწევთ სამსახურს მოწოლილ გრძნობათა დასამშვიდებლად.

ამ რიგად, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, მუსიკა განუყრელი ნაწილია ადამიანის შინაარსისა, აუცილებელი მოთხოვნილება მისი ბუნებისა.

მუსიკა არამც თუ ძველი დროისაა, არამედ ძალზედ გავრცელებული ხელოვნებათაგანია.

არსებობს ხალხური მუსიკა, როგორც ხელოვნება, მაშინ როდე'აც არც ხალხური მხატვრობა, არც ქანდაკება არ არსებიბს. მუსიკა ერთადერთი ხელოვნებაა, რომელიც უზიარდება ყოველ-დღიური ცხოვრების მოვლენებს.

ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას სარწმუნოებაში, ომში, ცეკვაში, წვეულებაში, ჯვარობაში; სუფრული სიმღერები, რომლებიც ადამიანს მხიარულობის სულსა ჰბერავენ და თავის თავს აგრძნობინებენ მხიარულებაში, არასოდეს არ მოისპობა.

სიყვარულიც ხშირად მუსიკას მიჰმართავს.

როგორც ვაგნერი ამბობს: „იქ, სადაც თავდება სიტყვა, იწყება მუსიკაო".

ამ სახით, მუსიკა არის ის სულიერი ძალა, რომელიც ყოველ დღე ერთად ჰკრებს სიჩუმით მოცულს ყურადღებისაკენ ათი-ათასობით ხალხს.

მუსიკა აღელვებს მათ სულსა და გულს და სხვა ხელოვნებაზე უფრო მეტათ შეუსისხლხორცდება ადამიანის გრძნობას.

არ არის ისეთი ხალხი, რომელიც არ ისწრაფოდეს მუსიკისაკენ; შეცდომა არ იქნება ითქვას, რომ მუსიკა არის სარკე, რომელშიაც ისახება ქვეყნიური ცხოვრება კაცისა ყველა თავისი სიტკბოებით თუ სიმწარით, ნაღველით თუ სიხარულით.

აქედან ცხადია ის გატაცება, როგორითაც ლაპარაკობენ მუსიკაზე მგოსნები, მუსიკოსები და ფილოსოფოსნი.

ჰიოტეს თქმით, მუსიკა არის ხელოვნებათა შორის უმაღლესი ხელოვნება, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს იმას, რისაც გამომხატველია იგი.

შოპენჰაუერი მუსიკას აწერს იმ ნიჭს, რომელიც ჰქმნის ყოველნაირ საიდუმლოების მოძრაობას ჩვენს არსებაში; იგი სთვლის მუსიკის მოქმედებას უფრო ძლიერებით მოცულს, უფრო ღრმად ჩამწდომს თავისი გავლენით, ვიდრე სხვა რომელიმე ხელოვნებას.

ბეტჰოვენი იმ აზრისა იყო, რომ მუსიკა უფრო მაღლადამყვანი, უფრო გულსახმიეროა, ვიდრე რომელიმე სიბრძნე და ფილოსოფია.

თვით წინააღმდეგნი ლიუტერისა ამბობდნენ, რომ მან გალობით უფრო გადაგვიბირა ჩვენი მომხრენი ვიდრე სწავლა-ქადაგებითო და ამიტომ გვაზიანა უფრო მუსიკით, ვიდრე სწავლითო.

მუსიკა არამც თუ ადამიანზე მოქმედობს, არამედ ფრინველებსა და ცხოველებზედაც. ვინ არ იცის მუსიკალური ნიჭი ბულბულისა, იადონისა, რომლებიც ხმატკბილად, ხმაშეწყობილად მუსიკალურის ნიჭით აფრქვევენ თავიანთ სულიერი განცდის მარგალიტის მარცვლებს სიყვარულის ალერსში

რითმით დაკრულ ჰიანურზე გაწრთვნილი დაიწყებს თამაშობას. ინდოეთში, შარდენის სიტყვით,

ექიმთან

ავად მყავს ჩემი ქალთამზე,
სული და გული თვალისა;
ვერ იქნა, ველარ გამოდგა
და ველარც მოიხალისა.

რამდენიც მომცეს იმედად
დაცდა დღეის და ხვალ.ისა,
წყეულმა ციებ-ცხელებამ
ის უფრო აითვალისა.

შენი ჭირიმე, ექიმო,
შენი ღონის და ძალისა,
დამდე წამალი, არვინ მყავს
გარდა ამ ერთი ქალისა.

— ასვი ქინა და ზილე ძმრით,
დააწვინევი თბილადა;
და თუ მოგთხოვოს ნადული—
წყალი აძლიე ხილადა.

ცუდ ჰაერს მოარიდევი,
რომ არ ისუნთქოს ბაგითა,
ყოველდღე ხელი შეუწყე
ნოყიერ სანოვაგითა.

— ვიცი, მკურნალო, კარგია
რძე, მაწონი და ყველიცა,
სუკი, დედალი, ნაღები
და სხვა რამ სალეველიცა,

მაგრამ საიდან? რა ღონით?
ბოგანო ვარ და ეული,
ლუკმა პურისთვის ჯაფისგან
თავადაც გავხდი სნეული.

მსხვერპლი ვარ სიღარიბისა
და მის ულმობელ ჟინისა;
აბა ვინ მომცა მე ფული
დღეს ძრმის და ქინაქინისა!

მადლობელი ვარ, ჭირიმე,
იმედისა და რჩევისა,
თავი არა მაქვს, გენაცვა,
ეგეთ წამლების ძლევისა.

ცეცხლის ფასი აქვს ყველაფერს,
ცეცხლს უკიდებენ ყველასა;
ისევ მივმართავ ველ-მინდვრებს
და ბალახებს ვთხოვ შველასა.

შიო მღვიმელი.

ერთი შხამიანი გველია, რომელიც ფლეიტის ხმით ისეთ აუწერელ აღტაცებაში მოდის, რომ მთელ ტანს იყოლებს საკრავს და ამ მოძრაობით ისე სუსტდება, რომ იქვე ჰკლავენ.

თუ კი ცხოველებს, ფრინველებსა და სხვა სულდგმულებზე ასე მოქმედობს მუსიკა, რასაკვირველია, მან უფრო უნდა იმოქმედოს ავადმყოფებზედაც და, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მუსიკა არა უმნიშვნელო ადგილს დაიკავებს მედიცინაშიაც.

ამაზე უძველეს დროსაც ყოფილა ლაპარაკი. „დაბადება“-დან ვიცით, რომ დავითი სცდილობდა მუსიკით შეესუმბუქებინა ტანჯვა სულისათვის.

ვიცით, რომ ორფეი თავისი მშვენიერი დაკვრით ამშვიდებდა ხალხსა და აღიტაცებდა მთელ ბუნებასა.

ძველი ბერძნები პითაგორის რჩევით მუსიკით რჩენას ავრცელებდნენ და სხ. და სხ.

——

ეხლა ჩვენს სამშობლოს შევეხოთ.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქართველებს უყვართ სიმღერა. ერთი სამი-ოთხი შეგროვდება და გუნდით სიმღერა მზად არის.

აქ გასაოცარი არაფერია: ესენი ყველანი სოფლის შვილები არიან და სოფელი კი წარმოადგენს მომღერალთა გუნდსა, რომელსაც ყოველთვის თავისი საკუთარი რეპერტუარი აქვს.

რადგანაც სახელმწიფო არასოდეს არ ეხმარებოდა ხალხს ესთეტიურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ამიტომ თვით ხალხი შველოდა თავის თავს. ამ დარგში, სტიქიურად ჰქნიდა თავის ლექსთა სიმღერას და აბამდა თავის რთულ თუ არა რთულ ცხოვრების ტრიალში.

მოწყვეტილნი სოფელს, განაგრძობდნენ თვითონ ამ საქმეს ქალაქში და იკმაყოფილებდნენ ბევრად თუ ცოტად თავის ესთეტიურ მოთხოვნილებას.

მაშ თუ ასე უყვარს ქართველ ხალხს სიმღერა, რატომ არ მოეპოვებათ ქართველებს მომღერალ გუნდთა საზოგადოება, ან თვით მომღერალთა შეგნებული გუნდი?

რატომ არაა მუსიკალურად მომზადებული გუნდი, რომლის მომზადება მხოლოდ თუთიყუშურად სწარმოებს მის ყურთა სმენის მიხედვით?

ამის ახსნა არაა ძნელი:

1) მომღერალთა გუნდი არა გვყავს ჯერ იმიტომ, რომ პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენი სამშობლოსი რევოლუციამდე მეტისმეტად ფრთასა ჰკვეცდა გამოეჩინა ხალხს რამე ხალისი-ენერგია შემოქმედებისა.

2) მეორე ისა, რომ მუსიკალური საქმის წარმოება ემსახურებოდა მხოლოდ მაღალ წოდებას და არა დაბალს, ე. ი. სუყველაფერი კეთდებოდა ბურჟუაზიისათვის და არაფერი პროლეტარიატისათვის, გლეხებისათვის.

პირველდაწყებითი სკოლა, სადაც სწავლობენ უქონელთა ბავშვები, სრულებით აცდენილია

მომაკვდავი საღამო

გარინდებული ზეცის თეატრი:
ფერადი სცენა და რიდეები.
აქ საღამოა, იქ — განთიადი,
და მოგონება მკვდარი დღეების.

საღამო ჩნდება ლურჯი დასავით.
ცვივა ზევიდან გლოვის იები.
დაღონებული ვუმზერ დასავლეთს:
ნელა ქრებიან მკრთალი სხივები.

ვხედავ, ჩრდილები რომ აირია.
მხემ გაანათა სადღაც გორები...
ვიცოდე მაინც — რანაირია
შემდეგი დღენი ჩემი ცხოვრების!

მე დავინახე შენი ოცნება.
(ალბათ, ეს მხოლოდ მწვანე სერია).
და სულ შემთხვევით შორს გამოჩნდება
თავისმკვლელების მთელი სერია.

ვიგრძენი გულის დაზიანება.
ზარის წუხილი მესმის შორიდან.
ეხლაც ვფიქრობდი, რომ ეს ზმანება
ბედნიერებას ვერ მიშორიდა.

საღამო მიდის მკვდარი დასავით.
თანდათან გაქრა მწუხრის ანთება.
ო, ეს ფიქრები — თეთრი და შავი, —
მელანქოლია და ხრიზანტემა!

დაო! სინათლე უფრო ამაღლდა.
ქარმა წაიღო ბედის რვეული.
თითქოს უცნობი დამდევს ამაღამ
და მოგონება — მზე შორეული...

გობრონ აგარელი.

ქუჩაში

(სურათი)

I

ზამთრის ცივი ღამეა. ქვეყანას სუსხი დაუფლებია. ყველგან სიჩუმეა გამეფებული მარტო ძაღლების წკავწკავი ისმის. ძნელად თუ ვინმე გაბედავს გარედ გამოსვლას, ისიც ერთი ან ორი წუთით. ვაი იმისი ბრალი ვისაც არა აქვს თავშესაფარი, ის სიცივის მსხვერპლი გახდება.

აგერ ერთ ლამაზ შენობიდან მხიარული ხმა გამოდის. რა ახარებთ? სითბო, სიმაძღრე, თბილი ლოგინი. ნეტავი მათ! მაგრამ, გამოიხედეთ ქუჩაში: პატარა ბიჭი, თმაგაბურძგვნილი, მობუზულა იმ სახლის კედელთან. საწყალს ტანზე დაკონკილი ჩვრები აცვია, ისიც მესამედს ძლივს ჰფარავს ტიტველა ხორცს.

— ზზზუუუ... — დაუბერა ძლიერმა ქარაშოტმა და რამდენჯერმე მიახეთქა ყმაწვილი შენობის კარებს. ტირილს ძლივს იკავებს, ცრემლები გადმოსდის, მაგრამ მიწას ველარ უწევს, ზედვე ეყინება. ხელები დაჰბუხვია, განძრევის ღონე არა აქვს. ერთი-ორი საათიც და გაითოშება.

II

შევიხედოთ ეხლა იმ ლამაზ სახლში, რომლის გარედაც პატარა ბიჭი ძაგძაგებს.

ყველა ამას და აი ყველა ამის შედეგებიც ნათლად სჩანს.

ეხლა ქართველი საზოგადოება იღვწის, იბრძვის, რომ როგორმე შეავსოს ეს ნაკლი, მაგრამ ჯერ-ჯერობით აქედან არაფერი არ გამოდის და ან საიდან უნდა გვყავდეს ხალხი, რომელსაც შეგნებული ჰქონდეს მუსიკის მნიშვნელობა და მისადმი სიყვარული?

ეს გრძნობა, ეს სიყვარული სიმღერისა უნდა აღიზარდოს ბავშვში სკოლის სკამიდანვე, საიდანაც უნდა გვყავნდნენ მუსიკის მოყვარულნი, ან დამფასებელნი და საჭირო აღზრდა შეგნება მუსიკის მნიშვნელობისა საზოგადო ცხოვრების მიმოსვლაში.

თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ამ რევოლიუციონურ ხანაში, ქართულ მუსიკამ დიდი ნაბიჯი გადადგა და ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენმა კომპოზიტორებმა უკვე ჩამოაყალიბეს ქართულ მუსიკის ფორმები და ამ ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენს მუსიკალურ ლიტერატურას აქვს 11 ოპერა:

1. „თქმულება შოთა რუსთაველზე“, მუს. დ. არაყიშვილისა. 2. „აბესალომ და ეთერი“, 3. „დალი“—ზ. ფალიაშვილისა. 4. „თამარ ცბიერი“—მ. ბალანჩივაძესი.

5. „კოტე და ქეთო“, 6. ლეილა“ და „ცისანა“—ვ. დოლიძესი, 8 „ქრისტინე“, რევ. გოგნიაშვილისა, 9. „დედა და შვილი“, 10. „ვეფხის ტყაოსანი“—ლ. ფალიაშვილისა, და 11. ბავშვებისათვის ოპ. „ოქროს თავთავი“—გიორგი სვანიძესი.

ამასთანავე, ახლო მომავალში დათავდება ექვსი ახალი ორიგინალური ოპერა.

მაშასადამე, მეტისმეტი გაცხარებული მუშაობა სწარმოებს ამ დარგში და ყველა ამის სულის ჩამდგმელი არის ხალხური მუსიკა.

მაშ გაუმარჯოს ქართველ ხალხს, მის კულტურას, მის ესთეტიკას, მის შმოქმედებასა და მის ხელოვნებას!

ილიკო აბაშიძე.



რეჟისორი ა. ა. ტურგანოვი
თურქული პრესის ხელმძღვანელი.

მორთული ოთახები, გახურებული ღუმელები, სამი ბავშვისთვის სათითაოდ გამზადებული ლოგინი. ორი გოგონაა, ერთი ბიჭი. გოგონები თამაშობენ, დარბიან, დასდევენ ერთმანეთს. მაგიდაზე აწყვია თეთრი პური და ნარი-ნარი საჭმელები.

დედ-მამა მაგიდას შემოსხდომიან, ვახშამს შეექცევიან და თან მასლაათობენ. პატარა ბიჭუნა მოწყენითა ზის დედის გვერდით.

— შვილო, გივი, რატომ შენ არა თამაშობ?—ჰკითხა დედამ თავის ბიჭიკოს.

— მგონია კარგათ ვერ არის, დააძინე.—უთხრა ლეომ ცოლს.

— წამო, წამო, ჩემო ნუგეშო, დაიძინე.—ამ სიტყვებით აიყვანა დედამ პატარა გივი და ბავშვების დასაძინებელ ოთახში შეიყვანა.

ამ დროს გარეთ ქარმა საშინლად დაიღმუვლა ხის ტოტებმა ლაწა-ლაწა დაიწყეს. ქუჩიდან შესასვლელმა სახლის დიდმა კარებმა ზედი-ზედ მძლავრად დაიჯახუნა

— წავალ, ვნახამ რა აჯახუნებს, ალბად ჩაუკეტავი დარჩა.—სთქვა ლეომ, დაიხურა ქუდი და გავიდ. ჩავიდა კიბეზე და გამოაღო კარები, მის წინ იდგა ექვსი წლის ბავშვი.

— ვინა ხარ მანდ, რა გინდა?

— ობოლი ვარ, ძია, მცივა, მშიან, შემიშვი, გავთბე!—უთხრა კანკალით პატარამ ლეოს.

— დაიკარგე აქედან, შე ქურდო, მაწანწალა!—წარმოსთქვა ლეომ გაჯავრებით და სახლის კარები ჩაკეტა შიგნიდან.

— ვინ აჯახუნებდა?—ჰკითხა ლეოს ცოლმა.

— რა ვიცი, ცოტა მაწანწალა დაეთრევა ქუჩაში!—მიუგო ლეომ და პატარა გივის დააცქერდა.

— როგორ არის?

— სიცხე აქვს.

— ეგ იმიტომ, რომ თბილად არ აცვია! უჰ, რა რიგ ჰყინავს გარეთ.—სთქვა ლეომ, აკოცა გივის შუბლზე და ფეხაკრეფით გავიდა სასადილო ოთახში.

III

მეორე დილით ადრე მეეზოვემ ფეხით შეანძრია სახლის კედელთან მიკუნტული 5—6 წლის ბიჭი.

— ადე, ბიჭო, რას აკეთებ აქა?

მაგრამ ბიჭი ხმას არ იღებდა.

მეეზოვემ ხელით გასინჯა და თავი ჩაიქნია ნაღვლიანად:

— საცოდავი, სიმშილ-სიცივის მსხვერპლი გამხდარა!—ჩაილაპარაკა.

გენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მხატვრები

მხატვარი ირაკლი თოიძე.

ახალგაზრდა მხატვართა შორის ფრიად საპატიო ადგილი უკავია ირაკლი თოიძეს.

დაიბადა 1902 წ. ქ. ტფ. შვიდი-რვა წლისამ დაიწყო ხატვა. 1913 წ. მისი ნახატები გამოიფინა ქ. მოსკოვში „საბაჩი პოდვალ"-ში, რომელთა შორის 20 ნახატი შეიძინა პროფ. კულბინმა, 30 მხატვ. პსკოვიტინოვმა წაიღო პეტროგრადს და მრავალი ნახატი შეიძინეს სხვადასხვა მხატვრებმა. იქვე გამოცემულ წიგნში „ახალგ. მხატვ. შემოქმედება" მოთავსებული იყო რამოდენიმე მისი ნახატი.

1914 წ. ტფილისში ჩამოვიდა პროფესორი კულბინი და წაიკითხა ლექცია ფუტურიზმზე, სადაც შეეხო ირ. თოიძეს, როგორც ორიგინალურ ნიჭს.

1916 წ. ქართველ მხატვ. საღამოზე მისმა გამოფენილმა ფანქრით ნახატებმა და პანოებმა საზოგადოების დიდი ყურადღება მიიპყრო.

1919 წ ქართვ. მხატვ. გამოფენაზე ირაკლი თოიძემ გამოფენილ სურათებით დაგვანახვა გარკვეული საკუთარი სახის შემოქმედება. მისი სურათების ძლიერი ხაზმოსმა და ფერები პრესაში ერთსულოვნებით აღნიშნული იყო.

მაშინდელმა მთავრობამ ირ. თოიძეს დაუნიშნა სტიპენდია და ერთი წლის შემდეგ უნდა გაეგზავნა საზღვარგარეთ. მაგრამ ეს განუხორციელებელი დარჩა, რადგან მოხდა საქართველოს გასაბჭოება

1920 წ. იანვარში ირაკლი თოიძის მიერ დახატული იყო ქიმერიონში კედლები, რაშიაც მან გამოიჩინა დიდი დეკორატიული ნიჭი. კედლის პანოთა შორის აღსანიშნავია დიდი პანო „მხატვარი და აღმაფრენა".

1921—1922 წ უმთავრესად ხატავდა დეკორატიულ ხასიათის სურათებს. სხვათა შორის, მისგან დახატულია: ოზურგეთის, ასკანის, ქვიშხეთის და სხვა თეატრები, რომელნიც არიან საუკეთესო ნიმუშები საქართველოს პროვინციებში ასაშენებელ თეატრებისთვის.

ირაკლი თოიძის უკანასკნელ ორი წლის ნაყოფიერ მუშაობის შედეგია: „დღეობა", „ჯირითი", „მთის იდილია", ქართველ მოღვაწეთა პორტრეტები და დიდი სურათი „რევოლიუცია", რომელიც შედევრად უნდა ჩაითვალოს და რომლის მნიშვნელობა აღსანიშნავია ქართულ მხატვრობაში.

როგორც ვიცით, სახელოვნო მთავარ კომიტეტმა დიდი ხანია, რაც საჭიროდ სცნო ირ. თოიძის საზღვარგარეთ გაგზავნა. სასურველია ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარი დროით გაიგზავნოს საზღვარგარეთ სამხატვრო ცოდნის გასაფართოვებლად.

ი—ლი.

რევოლიუცია

ბი ეშვება სანთაურით მთიდან ბელადი,
მარჯ. ფა ცხენით მოაქროლებს წითელ ბაირაღს,
უკან მოჰყვება შავი ხალხი, მხნე და გულადი,
და შეეკვეთნენ მქუხარ სიტყვით დასანგრევადთაღს.

ასეთ დღის მოსვლას საუკუნე ვერ გაუკინებს,
ყველგან ტირიან.. ღრიალებენ..სისხლისა ნთხევით,
შავი ლაქები დააჩნდება მიწაზე მინებს,
და თვით ბუნებაც ცრემლს ჩამოღვრის დღეების ხევით.

ღამდება ისევ, როგორც ლომის ამომთქნარება,
სისხლის გუბეებს ეპარება რევოლიუცია,
მიწას მოსწყინდა ჯინჯილების მუდამ ტარება,
მას მუშებისთვის არაფერი არ მიუცია.

და ახალგაზრდამ მკვდარ კაცების ბარიკადებზე,
დროშა ამართა უძლეველი და უდარდელი,
დაეპატრონა ქარხნებს, სოფლებს და ქალაქებზე
ჩაქუჩმა დასდგა სამუდამოთ მაგარი გრდემლი.

კაიუს პელი.

რევოლიუცია.

ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐᲒᲘ ᲪᲘᲡᲙᲕᲔᲜ

ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს,
არ მინდა გული სამარეს მივცე.
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.

იქ უხილავი მხარე მიცდიდა,
და ნისლიანი უსაზღვრო სივრცე.
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.

იმ პლანეტებზე ფერი მიმძიმდა,
და გაგიჟებას ველოდი ისევ.
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ.

ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს,
არ მინდა გული სამარეს მივცე.
მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან,
მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ...

ტერენტი გრანელი.

ნახატი ირაკლი თოიძისა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ

ტერენტი გრანელის პოეზია.

ნიცშე ამბობს: „ყველა ნაწერიდან მე მომწონს ის, რომელიც არის სისხლით დაწერილი. და სწერე სისხლით, მაშინ გაიგებ, თუ რა არის სული“.

და სწორედ გრანელის პოეზია, დაწყებული პირველი ლექსიდან ბოლომდე, განხორციელებაა ამ აფორიზმის.

მგოსანი ტერენტი გრანელი.

საღამო, კანკალი სანთლის, ირგვლივ დ წოლილი ნისლი, ფარული წყების ლანდი, პოეტის ცრემლი და სისხლი.

თუ მელანქოლია, გარეშეს, მსოფლიოს ტრაგიკული შეგრძნობა პოეზიაში უდაოა, გრანელი ქართულ პოეზიაში უთუოდ ნიჰილერი პოეტია.

იგი, ვით ჯვარზე გაკრული ქრისტე, იწვის პოეზიის რელიგიისთვის.

საშინელი გულის დამღრღნელი პარუსი: არარაობა, სიკვდილი, ვით უდაბნოში უმწეო ზარების რეკა გაისმის მის პოეზიაში.

იგი იმპერსონისტია. მისი პოეზია ბოგემიერ რაციონალურია ისე, ვით პოეტის ცხოვრება.

მშვენიერი პარადოქსია თქმა რემი დე გურმონის: „პოეტები იყოფიან ორ კატეგორიად: პოეტები სიმბოლისტები ანუ ნიჰილერნი, პოეტები რეალისტები ანუ უნიჰილერნი“.

იმპრესიონისტის წინ, წვრილმანი მოვლენა, გარეშე საგნები იბნიდებიან.

ყოველდღიური მოვლენა ვერ იწვევს პოეტში პოეზიის ცეცხლს,—პოეტს აწუხებს მსოფლიო რაობა, ფართო ფორმით. მისი პესიმიზმი თუ ოპტიმიზმი არ არის რუტინის, მეეთ-მოეთის, არამედ საერთო, მსოფლიოა.

ასეთია ტ. გრანელის პოეზიაც. მასში არ ისმის პოლიტიკური თუ ეროვნული პოეზიის ბარიბანი.

მისი პოეზია დაწმენდილი სისხლი და ცრემლია, ნიჰილერი განცდის მქონე პოეტის, რომელსაც უთუოდ უგრძვნია, რომ პოეზია განცდა,—შეურიგებელი სტიქიაა მსოფლო დეტერმინიზმის წინააღმდეგ. იგი ამხედრებაც, მელანქოლიით, პოეტის სისლით, ცრემლით, მიცვალებულებით, კუბოთი, კვირეების ზარების რეკით.

მისი რკალი ინტუიტიური ცდაა მსოფლიოს რკინის რკალის გარღვევის.

მისი ლექსი ირრაციონალურია, სტრიქონები არ კავშირდებიან ვიწრო ლოგიკურ ძაფით. თვითოეული სტრიქონი ცალკეა—მეორესთან დამოუკიდებლად. სულის სიღრმიდან გონების გარეშე ტანჯვით

ამონაბადია, მაგრამ იქმნება ლექსი ჰარმონიული, ვინაიდან მისი პოეზიის საშო ირრაციონალი მელანქოლიურია.

ტ. გრანელს, ვით ბოდლერს, ჰაშიში უყვარს, ქარი და ღამე.

ქარი როცაა უძილობით დათენთილ პოეტს თმას უწიწავს...

ქარი ღამეში: ჰქრის უჩინარი ქარი, „რაღაც" სახეს, თვალებს ხვდება, გრიალებს, სხეული არ სჩანს...

მას უყვარს ქარი და ღამე, ორივ იდუმალი, ძლიერი და უცნობი.

აი მისტიკა ტ. გრანელის პოეზიის.

იგი სინამდვილეში თანამედროვე ქართული ბოჰემაა...

მისი ბინა ქუჩაა, მშობლები ქარი და ღამე - ღამენათევ პოეტის განთიადის შეგებება. უსაყვარლესი და სიჩუმე—სიმარტოვე.

ეს ქვეყანა მისთვის გამოუცნობი სფინქსია. მას არ სჯერა სიცოცხლე... ამ ქვეყნად არა აქვს სულის ბინა. არ სჯერა, რომ სიკვდილი ნიილებს.

ერთ წუთს იგი კაენის მოდგმაა, „მოდის სისხლიან სამარიდან". მისი სული კაენის დაქცეული სისხლია, ამისთვის იგი ფატალურად განწირულია ტანჯისაკენ.

მაგრამ იმავე წუთს იგი სათნო ქრისტიანია, რომელიც ვერ ეტევა ამ ქვეყნის რუტინაში.

„სული სხეულის ჩუმი ტუსაღია.
სული უცნობი, სული ანგელოზი".

ან კიდევ

„რა ვქნა გაფრენა მე არ შემიძლია,
რომ ვნახო ქვეყნის ყველა პლანეტები".

აქ არის ბოლომდე გამართლება ამ მოთქმის:

„ტერენტი გრანელი მოდის სისხლიან სამარიდან.
იქნებ ეს იყოს ქრისტე მეორედ მოსული".

ტ. გრანელი პოეტია: ცრემლის, მელანქოლიის, „სიცოცხლის შიშის", უიმედო სივრცეების, მწუხარე გედების.

ყველა ეს საპიერდება ირრაციონალურ-ბუნტარული შედევრებით. პოეზიას უყვარს უკიდურესობა, მაგრამ პოეტის სული არ არის ერთფეროვანი. იშვიათია პოეტი ერთი მოტივით, ერთი ხაზით დამთავრებულიყოს. პოეტის სულში ბოლომდე ხდება ცვლილება, გარდატეხა გარეშეს თუ სუბიექტიურ შეგრძნობაში.

ტ. გრანელმა უკიდურესობამდე მიიყვანა „სიკვდილის პოეზია". არ ვიცი რომელ ქართველ პოეტმა იგრძნო უფრო მწვავედ „სიცოცხლის შიში" ვიდრე ტერენტი გრანელმა.

მაგრამ საკითხია დარჩება პოეტი ამ სფეროში, უცვლელი, ერთფეროვანი, ვით ფეტის ლამაზი პოეზია, თუ მოისურვებს რკალის გარღვევას, ახალი მელანქოლიური გზების ძიებას?

თანამედროვე პოეტი ხასიათდება ინტელექტის სიმაღლით. ტერენტი გრანელის სურვილია დაამტკიცოს: პოეზია ირრაციონალ-ინტუიციაა და არა ინტელექტი.

პოეტი გამარჯვებულია ლექსის ტეხნიკაში.

მწუხარე შინაარსი ასეთ მსუბუქ რითმით იშვიათი მოვლენაა.

ტ. გრანელი კულტურული პოეზიის მატარებელია და ქართველ რჩეულ პოეტთა რიგში ადგილი ექნება.

ამით არ ამოიწურება ტ. გრანელის პოეზია.

ლანთრი.

რეჟისორი

(ქართულ თეატრში, ქართული პიესის მომზადების დროს, ქართველ მსახიობებთან)

მორიგი რეპეტიცია.

სამეცადინო ოთახში დასი თითქმის შეგროვილია, აკლიან ზოგიერთები.

მოკარნახე ქალებში ზის და „ოსტრობს"— დაუსრულებელი კისკისი და ღრიანცელია.

სცენარიუსი რამდენიმე მსახიობთან ერთ კუთხეში ლოტბარობს **„აბადელიას"**:

მოპრემიერო მსახიობი ვაჟი მეორე კუთხეში რამდენიმეს ედავება: რა უფრო სწორი ხაზია ქართული თეატრისათვის—რეალური პიესები, ჩვენი ავტორები (თუნდ ჯერ ხანად სუსტნიც), თუ ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი, საზოგადოთ მრავალი **„იზმი"** და უცხოელი ავტორები?

ამ დროს გამოჩნდება **რეჟისორი:** „გამარჯვებათ, здравствуйте господа. „პარდონ", ამხანაგებო.

Нуе, დავიწყოთ. (მიუბრუნდება სცენარიუსს) Обставте, пожалуйста, პირველი მოქ.

Где суфлер? აჰა, დაჯექით (ტაშს შემოჰკრავს), тише, тише, ვიწყებთ.

იცით თქვენი როლი какого характера? გარეგნულად გაევროპიელებულია, а на самом деле азиатка, ჰო და...

სიყვარულის სცენაში, это так сказать „კვინტესენცია" თქვენი როლისა, нужно быть не обузданной, не обузданной...

მაყურებელს ცეცხლი უნდა წაუკიდოთ, ცეცხლი .. он должен хотеть в место актера, самому быть თქვენს მკლავებში... поняли? აჰა...

მოითმინეთ, „ატანდე, ატანდე", ეგრე უცებ არა, постепенно, постепенно...

თქვენ კი, ყმაწვილო, უნდა დადნეთ, растаяли, совсем растаяли... მიბნედილი თვალები... вот так, вот так... კარგია, კარგი!.. „შედევრ"!..

(რომელიღაც კუთხეში სიცილი).

Стоп, стоп... რა დაგემართად? В чем дело? აა, თქვენა ბრძანდებით! Харошее дело... ჯერ დაიგვიანეთ და ეხლა კიდევ тут у меня анекдоты разсказываете... მიბრძანდით... (სცენარიუსს) отметте... მიბრძანდით... „აუფიდერზეენ, აუფიდერზეენ".

ვანო ბარველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრის ოდისეა

ვეუბნები ახალგაზრდობას!

ქართული თეატრი წარმოიშვა და განვითარდა მაშინ, როდესაც მთელი ევროპა—მსოფლიო რადიუსით განიცდიდა დიდ ტეხილებს დრამატიულ ხელოვნების დარგში.

ეს ეპოქა უნდა აღინიშნოს, როგორც კონგენიალობა მსახიობის და მწერლობის შორის

ასეთივე კონგენიალობა მოხდა ჩვენშიაც.

ივანე მაჩაბლის (ლიტერატურაში) და მაკო საფაროვ-აბაშიძის (თეატრში) მოვლენა—ქართულ სცენისთვის სასწაულია პირდაპირ.

მარტო ეს მაგალითი საკმაოა, რომ გაიგოს თეატრის მომავალმა ისტორიკოსმა მთელი პოტენცია წარსულის.

მაგრამ ქართულ თეატრის ისტორია ამ რკალით არ შემოიხაზება. ჩვენი თეატრის ცხოვრების ფურცლები სავსეა წარსულის მშვენებით და სურნელებით. თვითეული სტრიქონი ამ ცხოვრებისა ღაღადებს თვის დიდობას და ჰარმონიულ უკვდავებას.

ქართულ თეატრის ბრწყინვალე წარსულში ჩვენ ვხედავთ ბრწყინვალე მომავალს. მხოლოდ ეს წარსული თვისი ღრმა შინაარსით და განცდით უნდა გვაძლევდეს სრულ იმედს მომავლისას.

ის ძვირფასი სახელები, რომელიც მოოქროვილი და მოოქვილი იქნება ქართულ თეატრის ისტორიის ფურცლებზე—თავდებია ჩვენი გამარჯვების ამ დარგში.

ქართული თეატრის წარსული დიდებანი, ჩვენ მომავალ თაობის მოგონებაში გადავლენ ისე, როგორც „ილიადა და ოდისეია"-ს დიდებული გაზღაპრებული გმირები.

ნაირ ჩუქურთმით გადაეშალოთ ჩვენც ეს ჩვენი დაუვიწყარი და დიდებული გმირები.

მაკო საფაროვ-აბაშიძისა.

გნებავთ გაიცნოთ ქართულ თეატრის ისტორია? გაიცანით მაკო საფაროვ-აბაშიძისა!

გსურთ გიგოთ ქართულ თეატრის წარსული, მისი ჭირვარამი? გაიცანით—მაკო საფაროვ-აბაშიძისა.

გნებავთ ნახოთ არტისტიულ ბოღემის პირმშო შვილი? ნახეთ— მაკო საფაროვ—აბაშიძისა.

გსურთ თუ არა იხილოთ დიდი ხელოვანი თვისი სინამდვილით, თავისი გრძნეულობით და სიბრძნით, იხილეთ—მაკო საფაროვ-აბაშიძისა.

გნებავთ მოისმინოთ მაღალი აზრები თეატრის დანიშნულებაზე, დრამატიულ ხელოვნებაზე, მსახიობის შემოქმედებაზე? მოუსმინეთ—მაკო საფაროვ-აბაშიძისას.

ვინ არის მაკო საფაროვ-აბაშიძისა?

ასეთი შეკითხვით ჩვენ წინაშე წარსდგება მხოლოდ უკულტურო ადამიანი.

განა შეიძლება შეკითხვა:

ვინ იყო: სარრა ბერნარი, დუზე, სიდონსი, რისტორი?!

ალბათ, მაკო საფაროვ-აბაშიძისას ამათთან ერთად თეატრის ისტორიკოსი გააზღაპრებს და მის სახეს გამოჰკვეთავს როგორც სახეს იდეალურ მსახიობისას.

მაკო საფაროვ-აბაშიძისაზე დაიწერება ცალკე დიდი წიგნი.

ლადო მესხიშვილი.

ქართულ თეატრის მუნე სიულლი!

დიონისის მიერ ნაკურთხი. სცენისთვის შობადებული და განუმეორებელი.

არტისტი: „თავით-ფეხამდე".

მის სახეზე დაიწერა სასწაულება და ზეშთაგონება.

არტისტიული ნიღაბი ფიდიუსის მიერ ნაკვეთი.

ვულკანის ტემ ᾽ერამენტით.

თუ გნებავთ, ქართულ თეატრში, მხოლოდ ლადო მესხიშვილს ეკუთვნის სახელი „კენტაავრი-"ს.

ვასო აბაშიძე.

გაგახსენდებათ როგორც ტფილისი!

ქართულ თეატრის წარსულს მარტო ვასო აბაშიძეს სახელიც გაამართლებს.

ამ ნიჭში მოცემულია ქართულ ბუნების ხალისი.

და იგი დარჩება ჩვენი თეატრის ისტორიაში, როგორც—კოკლენი.

ნატო გაბუნია-ცაგარლისა.

ხანუმა, ხამფერა, ფროშარი, კუკუშკინა, გოროდნიჩიხა – ეს პორტრეტთა გალლერეა დაამშვენებდა ყოველ სცენას.

სცენიურობა და დრამატიულ ხელოვნების სისრულე ნ. გაბუნია-ცაგარლისაზე უკეთესს ვეღარ იპოვიდა.

ამ მსახიობკალში მოცემული იყო ისეთი სცენიური თვისებები, რომლითაც მაყურებელს პირველივე გამოსვლისთანავე სავსებით დაიპყრობდა. ეს თვისება არის არტისტის მხატვრული ზომიერება. ნ. გაბუნია-ცაგარელი მარტო ამ ღირსებითაც შესდგება ჩვენი სცენის მაღალ საფეხურებზე.

ლიზა ჩერქეზიშვილი.

ბევრი შეცდომით ფიქრობს, რომ ლიზა ჩერქეზიშვილი ნ. გაბუნია-ცაგარლის გაგრძელება იყოს თითქოს!

ნამდვილად კი ეს ორი დიდათ ნიჭიერი მსახიობნი ერთმანეთისგან თავიანთ საკუთარი სახიერებით და ინდივიდუალობით სასტიკად განსხვავდებიან.

ლ. ჩერქეზიშვილში უმთავრესად საყურადღებოა: საღი კომიზმი—დიდი პათოსით უმაღლეს თეატრალობაში გადასული, სადაც ყოველი მისი შტრიხი თავისთავად სიხარული და აღტაცებაა, წინააღმდეგ ნატო გაბუნიას განცდის სიღრმისა. ლ. ჩერქეზიშვილს აქვს განსაკუთრებული რეპერტუარი და დღემდე მას ქართულ სცენაზე ბადალი არავინ არა ჰყავს.

კოტე მესხი.

ქართულ სცენაზე თუ ვისმეზე ითქმის ჯენტლმენობა—ეს მხოლოდ კ. მესხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტისტი—არისტოკრატი. დიდი კულტურით. შეიძლება ქართულ სცენისთვის ერთადერთი ამ მხრივ.

ქართულ სცენის ა. იუტინი.

უკეთესი შედარება ვერ მოიძებნე.

ამპლოებით, თავისი ნიჭის ხასიათით და სცენურ მიზნ ვით კოტე მესხი—ნამდვილი ა. იუტინია ჩვენი სცენისთვის.

კოტე ყიფიანი.

კოტე ყიფიანი არ იყო უნივერსალური მსახიობი. იგი ნამდვილი ქართულ ბუნების და განცდის ადამიანი იყო და აკი მხატვრულ სახეებში გამოჰკვეთა ანანია და სვიმონ ლეონიძე.

კოტე ყიფიანი უკეთილშობილესი არტისტი იყო და რა იყო მასში ყველაზე უფრო ძვირფასი—ეს სიდარბაისლე და სილამაზე ქართული ენის.

ქართული ლიტერატურულ განსახიერებას პოულობდა კ. ყიფიანის მხატვრულ მეტყველობაში.

ვალერიან გუნია

ქართულ თეატრის „ბეჭერების ტალვესი“.

ძვირფას სახეების შორის მისი არტისტიული მასკა მრავალნაირად არის საყურადღებო.

მაღალ შუბლზე დანოტეტებული ნაკვთები—გადაშლილია როგორც დიდიბული გამეები.

მისი სახის ზვიადი გამოხიდვა მშრალია თითქმის, მაგრამ მანვე იცის განათება უეცარის ცეცხლის ტეხილებით.

ბაბო ავალიშვილი.

ქართული თეატრის დედა, პირველი დრამატიული მსახიობქალი, ორიგინალურ და ოტბოეთის რეპერტუარის შემქმნელი, რომელმაც, ხელოვნების საყვარულით ანთებულმა, სიცოცხლე სამშობლო სცენას შესწირა.

ნინო ჩხეიძე.

ქართულ სცენის დუზე.

ნინო ჩხეიძემ შექმნა რომანტიკა ჩვენ სცენაზე.

მარგარიტა გოტიე,

მაგდა,

ზენაბი და

მედეა

უკვდავი სახეებია ქართულ სცენისთვის.

მისი უსათუოესი თვისება, როგორც მსახიობის, არის: ლირიკა—მაღალ ტრაგიზმში გადასული.

ნ. ჩხეიძის ხმა და პათოსი ქართულ თეატრის ისტორიაში დარჩება როგორც სტრადივარიუსის ვიოლონ-კაგშნიან აკორდებით მეტყველი!..

***

ამ ქურუმთა ქურუმებში კიდევ არიან სახელოები, რომელთა შესახებ ქართული თეატრის ისტორია ყველა მათგანზე ბევრ რაზეს იტყვის. ესენი არიან: ეფ. მესხი, ნინო დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ქეთო ანდრონიკაშვილი, ალექსანდრა კარგართელი, ტასო ამაშიძე, ალ. იმედაშვილი, ვ. გამყრელიძე, ვ. შალიკაშვილი, კ. შათირიშვილი გ. იშხნელი, შალვა დადიანი, ნ. გოცირიძე, გ. გედევანოვი და სხ.

ყველა ამ ძვირფას სახეებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული თეატრის ბედი და სახელიც. ესენი სცხოვრობდნენ ქართულ თეატრისთვის. ქართულ თეატრის ტკივილები მათი საკუთარი ტკივილებიც იყო. ქართული თეატრის სიხარული—მათი სიხარული.

არა, მე არ მინდა ვსთქვა:

ესენი მარტო დიდი არტისტები იყვნენ მეთქი,—ესენი დიდი გმირებიც იყვნენ.

ყველა მათგანმა სათითაოდ გაიღეს დიდებულ მსხვერპლი ხელოვნების ტაძრის საკურთხეველის წინაშე ქართულ თეატრის კიდლების გასამაგრებლად და ყველა მათგანს შეეძლო ქართულ თეატრისთვის ეთქვა დიდებულ პოეტის სიტყვები.

„ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ!“

დიდება ჩვენი თეატრის წარსულ დიად სახეებს, რომელთა სახელით იამაყებს ჩვენი ახალი თაობა და რომელთა ძვირფას მაგალითებზე, და პატივისცემაზე გამოსჭედავს ქართულ თეატრის დიდებულ მომავალს.

ვახტანგ გარრიკი.

გახსენება

„თეატრი და ცხოვრება“ ს ამა წლის მეორე ნომერში ოსეს იმედაშვილის დაბეჭდილმა წერილმა ოსეს დავითაშვილზე „მუშა-მწერალთა მამამთავარი“, სადაც ნათქვამია, რომ ი დავითაშვილი იყო ერთი მესე ურთაგანი ჩვენში ორალეგალური ბეჭედვითი სიტყვის ჩასახვისა“, გამახსენა შემდეგი გარემოება იმისი ცხოვრებისა, რომელიც მე ვერ მოვიხსენე ჩემს წინანდელ წერილში ოსეს დავითაშვილზე (1914 წ. „თეატრი და ცხოვრება“ № 4).

მართლაც, ქ. ტფილისის მუშებში პირველი გამავრცელებელი არალეგალური ლიტერატურისა იყო მუშა-პოეტი ოსეს დავითაშვილი. ქ. გორში სამოცდა-ათიან წლებში უკვე საკმაოდ ფართე წრე იყო ხალხსინებისა—სოციალ-რევოლუციონერებისა. ვასო დეკანოზიშვილმა და მე ვსთარგმნეთ არალეგალური წიგნაკები: „ოთხი ძმის ზღაპარი“, „ზღაპარი კაპეიკზე“, „სიმშილი სამარაში“ (самарский голод) და სხვა. ეს ნათარგმნები რამდენიმე ცალად გვქონდა გადაწერილი და ვიერცელებდით ხალხში.

კარგად მახსოვს, ოსესი მოვიდა გორში დასთან და დარჩა აქ. გაიცნო ჩვენს წრეს და სიხარულით ცას დაეწია, რომ ნახა ჩვენი თარგმნები: ტფილისში იშვიათია ქართული არალეგალური ნაწერებიო,—გამოგვართვა თითო ცალი ჩვენგან ნათარგმნი წიგნაკებისა და წაიღო ტფილისს. კვლავ დაბრუნდა ჩვენთან და ფართოთ გაიცნო არალეგალურს ლიტერატურას. რუსეთი არ იცოდა, მაგრამ გადავცემდით ხოლმე ქართულად შინაარსსა და იგი ავრცელებდა მუშებში. გორში მაშინ სად იყენენ მუშები, იყენენ მბოლოდ ხელოსნები, რომელთა შორის ჩვენგან უკვე იყო გავრცელებული რევოლიუციონერი იდეები. ოსესი ხშირად მიდიოდა ტფილისში მუშებთან და უზიარებდა ახალს აზრებსა.

საზოგადოდ, ეს წყნარი, მშვიდობიანი კაცი აღსავსე იყო შინაგანი ენერგიით და თავგადაკვლით მუშაობდა მუშა-ხელოსანთა წერილებში, განსაკუთრებით გლეხებში, რომელთა გათვითცნობიერებისათვის მართლაც და დაუღალავად იღვწოდა.

ჭეშმარიტად ამ პირველს პიონერს მუშა-მწერლობისას უნდა მიეკვეს დღეს პროლეტარულ სახელმწიფოში სათანადო ყურადღება და უნდა გამოიცეს არა მარტო მისი ნაწერები, რომელიც დღეს აღარც კი იშოვება, და შეიმკონ მისი ძეგლით ოთ.ელმე ბაღი, როგორც ამბობს დასახელებულ წერილში ოსეს იმედაშვილი,—არამედ რომელიმე ქუჩასაც დაერქვას მისი სახელი.

ხ. ბგალობლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირიდან კვირამდე

ვისთვის—რისთვის?

ჩვენს ჟურნალს ჰყავს ისეთი მკითხველებიც, რომლებიც სხვა გამოცემას თვალყურს ვერ აფევნებენ, ან ვერ ერკვევიან და ჰსურთ ჩვენის გამოცემის საშუალებით ოდნავ მაინც გაეცნონ საზოგადოებრივ შინაურ თუ უცხოეთის ღირსშესანიშნავ მოვლენათ. აი, სწორედ ამ მიზნით ვიწყებთ დღეიდან „კვირიდან კვირამდე"-ს შემოხილვას, ჩვენი ძალღონის მიხედვით. ნუ ვინ დაგვემდურება, თუ ამ განყოფილებაში უფრო დიდი ხნის ამბებიც მოვიგონოთ, ან ჩვენებურად შეეფასოთ.

ამ გასული ორიოდ-სამიოდე კვირის განმავლობაში ბევრი რამ საყურადღებო მოხდა შინ თუ გარეგან, მაგრამ ახლა ყველას ვერ მოვხვევთ ხელს.

სადაც არ იყოს—ეოტა კმარიყოს.

ბლოვის კვირა.

სწორედ ასეთი იყო გასული ორი კვირა არა მხოლოდ ჩვენსა, რუსეთში, საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

ეს გამოიწვია ლენინის გარდაცვალებამ. მთელი ორი კვირის განმავლობაში გაზეთების ხღვა მხოლოდ ლენინის ტალღებით ბობოქრობდა.

რაც, შეიძლება ითქვას, ლენინმა სიცოცხლით ვერ შესძლო, სიკვდილით მოახდინა: მთელი მსოფლიო შეარხია, შეაზანზარა.

ჩვენმა დედაქალაქმა ხომ არარეიულებრივად იგლოვა. ნამდვილი პოეტური, მაღალხელოვნური იყო გლოვა იგი: შავ-არშია მოვლებული უამრწამელი დროშებით, ბწკვანეულოშით, ნაირ ლოზუნგებით, ალაბებით და სხ. ახატულ-ჩახატული შენობა-დაწესებულება-ქუჩები, გასაოცარი იყო, ზღაპრული...

ჯადო ხელით არა გაკეთებულა, არამედ შექმნილა!.

ლენინის სურათ-ალაბა ყველგან სპატიო დარაჯით (ბევრგან ქალ-ვაჟით).

ნაირი ხალხის—განსაკუთრებით მუშა-გლეხთა და სხ. გაერთიანებული სამგლოვიარო მსვლელობა!

დიდი, ზვიადი, ერთსულოვანი!.. ლენინის სახელით მონათლეს ბევრი ქალაქი, დაბა, სასწავლებელი, ქუჩა და სხ.

სხვათა შორის, ტფილისმა, მრავალ მირქმათა გარდა, თავისუფლების მოედანს ლენინის სახელი უწოდა.

ეს კი... მგონი არც თვითონ ლენინს მოეწონებოდა, რადგან იგი კერძო პიროვნებაზე მაღლა ზოგადს აყენებდა: **თავისუფლებას** თავის სახელით არ შესცვლიდა.

ასეთი საპატიო ძაძა-მოსილობა ტფილისს არ ახსოვს, ასეთი დაკრძალვა—მთელ მსოფლიოში—არც ერთ მეფეს, არც ერთ მეუფეს!

დიდებული ადამიანი დიდებულად ჩაბეჭდა მოდგმათა ხსოვნაში!

ინგლისს მუშათა გამარჯვება.

სწორედ იმ დროს, როდესაც ლენინმა თვალი დაბუჭა, ინგლისში მუშათა პარტიამ გაიმარჯვა და შესდგა მუშათა მთავრობა რამზეი მაკდონალდის თავმჯდომარეობით.

მინისტრების უმეტესობაც მუშათა ცნობილი ბელადებია.

მაკდონალდსა და მის ახლობელ ამხანაგთ ჩვენი ქვეყანა იცნობს, იგინი ამ ოთხი წლის წინად ჩვენში იყვნენ.

მთავრობას, მაკდონალდის მესვეურობით, განუზრახავს შინაური და მსოფლიო ურთიერთობის მოგვარება, რაიც ასე საჭიროა მთელი ქვეყნიერობისთვის.

ამ კეთილ განზრახვის შესრულებას შესძლებს თუ არა—მომავალი გვიჩვენებს!

ტვინის „პარალიჩი".

სწორედ ტვინის „პარალიჩმა" მოიცვა ბევრი ჩვენი დროის „ძოღვაწე" და კერძოდ ქართველ მსახიობთა სამეუფოში მოკალთებულ აქტიორთა ერთი ჯგუფი.

გასულ კვირას თავისი უტიფარობით შეგლალეს როგორც თვისი წმიდა ტაძარი, ისევე საზოგადოებრივი გრძნობა და სამწერლო კერა: მოხდა ის, რაც შორგანუქვრეტელ, სხვისით გაყვინზებულ ადამიანისაგან მეტს არ უნდა ელოდეს კაცი და ისევე დასრულდა, როგორც ჩვენი ხალხის სიბრძნე ამბობს: „იალაღზ დამბმულმა ვირმა პალო მოგლეჯა, ერთი პატრონს მოარტყა, ასი თვითონ იკრაო"!

ჭკვის სასწავლელად ესეც ეყოფათ!

რა არის მოსალოდნელი?

ახლო ხანში საქ. უჩენაეს სასამართლოს სამსჯაროს წარუდგება სრ. საქართ. კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი სამოვდელოების ერთ ნაწილთან ერთად. ბრალად ედება „უწმიდესი კონტრ-რევოლიუციაა".

ამაზე შემდეგ.

უჩინ-მაჩინი.

ეკატერინ ყიფიანი—ვენეციელ ვაჭრის როლში.

კრიტიკული შენიშვნები

II. ჟიუნ-მავრი. „ტყის ზღაპარი“.

> განაღა სთქვას ერთი, ორი,
> უმსგავსო და შორი-შორი.

პოეტის შემოქმედება მეტათ რთულია, გამოუცნობი, საიდუმლოებით სავსე.

სადაც ყოველი რითმა, ყოველი ლამაზი გამოთქმა ტანჯვასა და წვალებაში იშვის, იქ პოეზია არ არის.

სიადვილე, თავისუფლება ერთი უპირველესი პირობაა მშვენიერებისა.

პოეტი თვითონ კი არ უნდა დაეძებდეს რითმას, რითმა მას უნდა ეძებდეს.

პოეტი თუ გაოფლიანებული მისდევს ერთ კოჭლსა და მახინჯ რითმას და აღარ ანებებს თავს, რადგანაც იცის: სხვას მაინც ვერ ვიგდებ ხელშიო, ყალბი პოეტია.

რითმათა ჯარი თავს უნდა ესხმოდეს პოეტს, მოსვენებას არ აძლევდეს და ისიც თავისუფლად ირჩევდეს ულამაზესს,—აი სად არის პოეზია.

ვერაფერი ამის მსგავსი „ტყის ზღაპარში“ ვერა ვნახე.

სოფლათ იციან ნაჭრის საბანი. უმთავრესათ უბრალო ჩითის ნაჭრებია, მაგრამ შიგა და შიგ დაინახავთ ატლასის, აბრეშუმის ნაჭერსაც.

ასეთ საბანს მაგონებს „ტყის ზღაპარი“. საერთოდ მეტად მდარე, უხეირო პოეზიაა, მაგრამ ალაგ-ალაგ შეხვდებით რიგიანსაც. ავტორს გრძნობაცა აქვს, აზრიც. მისი უკანასკნელი ლექსი მდიდარია ფანტაზიით, აზრით.

მთელი შინაარსი შეზავებულია სევდით, იმედით, სამშობლოსადმი სიყვარულით, მშრომელი ხალხისათვის თავდადებით, სიცოცხლის მიზნის ძიებით,—მაგრამ პოეზია არ არის.

აიღეთ პირველი ლექსის დასაწყისი:

> მგოსანი ვარ, ტყის მგოსანი,
> მთაში ვცხოვრობ, ღმერთთან ზეცას,
> ხან ზღვის წიაღს დავსეირნობ,
> ხან ამ ცოდვილ დედამიწას.

აქ არა თუ პოეზია, ქართულიც კი არ არის სწორი.

> დილის მერცხლიდან არ დაირღვევა
> აწ გაზაფხულის მყუდრო მშვიდობა.

არც ეს არის ქართული.

> გემმა შორით გადიჩეხა,
> განწირულმა ზღვის ომებში.

საშინელი ქართულია.

> სიკვდილისაც არ იძრახვენ,—

ეს კიდევ უარესია.

> მე მაშინ წავალ სიკვდილი ცივით,
> რომ გაზაფხულმა დარჩეს, იცოცხლოს.

ამისთანა საშინელი ქართული თითქმის ყოველ ლექსშია.

ზოგან სრული უაზრობაა:

> ჩემი სიცოცხლის და მისწრაფების ჩამქრალ
> სხივის,
> ბუნების სევდამ მისმა ცრემლმა დაასაჯარა.

ან კიდევ შემდეგი:

> შენსა ფიქრიანს უდაბნოსა ხმა დასჯილისა,
> დევნა იულად მე მოუთხრე ცხოვრების ვნება.

რა აზრია აქ ან რა ქართული?

ერთ ალაგას ვკითხულობთ:

> მინდა გადავსცე მინდორ-ველებს ჩემი სალამი;
> არაგვს, იალბუზს პროზის ნაზს მთებს ალაზ-
> ნის მხარეს.

გადაჭრით ვიტყვი: ის პოეტი, რომლისთვისაც ალაზნის მთები პროზაა, პოეტი არ არის.

ის რითმები, რომლებსაც პოეტი ხმარობს, ჩვენთვის სრულებით მიუღებელია: დამთამაშებს—მარშებს, გამქრალა - ჩამქრალა, იმისთვის—თავისთვის, მკლავი — მუშები შავი, დამაპანღურა — ფიგურა, სჩანს—მოსჩანს, გაასვენეს—მიასვენეს, აადნო—დაადნო, მივანდვე—გადავანდვე და სხვ

ასეთ რითმებში არ არის არავითარი შემოქმედება.

პოეტობისათვის ორი რამ მაინც აუცილებელია—ენა და შემოქმედება. „ტყის ზღაპარში“ არც ერთია და არც მეორე.

ამისთანა უმსგავსი შემოქმედება უნდა განიდევნოს ჩვენი პოეზიიდან.

ივ. გომართელი.

ხალხი და თეატრი

პროლეტარიატის დიად გამარჯვების აღლუმს თეატრი უთუოდ შარავანდედით მოსილ დაფნის გვირგვინს დაადგამს.

ეს მომავალი. მაგრამ დღეს?

დღეს არა ნაკლებ სიმკვეთრით და ნერვიულობით უნდა მზერდეს თეატრი გამარჯვების გზებს.

ხოლო მისი გამარჯვება სრულიად დამოკიდებულია დემოსზე, იმ დემოსზე, რომლის საბედნიეროდ არის მოვლენილი თვით ეს თეატრი.

თუ თანდროული მძლეობა ვერ გამოიჩინა დემოსმა მებრძოლ პროლეტარიატის სახით და დამარცხებული დარჩა ამ უჩვევ ომებში, რასაკვირველია, თეატრიც ვერ დაარახუნებს რენესანსის კარებს და კვლავ ჩაჭედილ რკალებში დარჩება.

ასეთ შესაძლებლობის ლანდებიც რომ განიავქარდეს, თეატრმა ამ თავითვე, როცა ჯერ კიდევ ახლად იშლება საკაცობრიო ბედის-მწყვეტ ბრძოლის ასპარეზი, უნდა აუღოს ალღო ეპოქალობას.

უბრალო ენით ამის თქმა ასეთია: დღეს თეატრი რევოლიუციის მამოძრავებელ ძალის გზა-ხიდათ უნდა გადაიქცეს.

როდის მოხდება ეს?

მაშინ, როდესაც თვით თეატრი, როგორც ასეთი, მუხლს მოიყრის ხალხის წინაშე და მიიღებს ბუნებრივად ყოველივეს, რის გაცემაც მას ძალუძს.

თანდროული თეატრი უნდა გვაგონებდეს იმ მითიურ დევს, რომელიც ყოველ მუხლის შეხებით მიწასთან კრეფდა ძალ-ღონეს და გაასკეცებულ ენერგიით კვლავ განაგრძობდა ბრძოლას. თეატრი ხალხში უნდა ბრუნავდეს და, მის წიაღიდან ამონაზიდ ძალით გაახლებული, ხალისიანად ანთებდეს მგზნებარე კოცონს.

არის თუ არა ამის შესაძლებლობა?—

როგორც დღეს—ისე არასოდეს!

უპირველეს ყოვლისა, ხალხი, როგორც მესაჭე საკუთარი ბედის, ყოველ დამხმარე ძალას, რომელიც განიმსჭვალება მისი მომავალ კეთილდღეობით და ფრთებს შეასხამს მის მარჯვე ფრენას,—დიდი ალტაცებით შეხვდება და თავის კარლია ქოხმახებში ფართო გასაქანს აღმოუჩენს.

მეორეც: ასეთი აფორიაქების შემდგომ, რომელიც გაშალა მე-XX საუკუნის დასაწყისმა ფსიქიურ თუ სოციალურ სფეროში, ხალხი ჯერაც ინერციულ ღელვას განიცდის და ეძებს მშვიდობიან ცხოვრების მკვიდრ საყრდნობს. მან საუკუნეების მიერ ნაანდერძევ ღირებულების გადაფასება და ახალის შერჩევა უნდა მოახდინოს დამშვიდებულ გონთამზერით. მშრომელმა მასამ ანგარიში უნდა გაუწიოს ნამოქმედარს და გამაგრებულ ნიადაგიდან კვლავ ექვეთოს იმედმმოს მომავალს სრული გამარჯვების საზიარებლად.

ამის საშუალებას-კი მისცემს ხელოვნება და კერძოთ თეატრი.

მხოლოდ მათ ახასიათებს უნარიანობა იმ დიად სურათების ასახვის, სადაც თვითეულ მუშას შეეძლება ამოიკითხოს უნაკლოდ ყოველივე ის, რაც ამოძრავებს მის სულსა და გულს.

ჩვენს სახალხო თეატრს საამისოდ მაჯა უცემს და, იმედია, ის თავის ისტორიულ დანიშნულებას გაამართლებს: წარსული და აწყმო ამის სრული თავდებია. მხოლოდ საჭიროა მათი ე. ი. ხალხისა და თეატრის მტკიცედ გადადუღება, გაერთიანება.

და, აი, აქ ამ დიად საქმეში მათი გამაერთიანებელი რგოლი იყო და, ჩვენ გვწამს, იქნება კიდევაც განახლებული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება", რომელსაც ვუსურვებთ ჩვეულებრივ მხნეობასა და ბრწყინვალე მომავალს.

ნ. ინასარიძე.

სახიობა 2 იანვარი

საქართველოს მსახიობთა კულტურული კავშირის ჟურნალი სასცენო ხელოვნებისა. ფასი 2 მ. 50 კ. ჩერვონ.

მართლაც რომ დროული იყო ამ ჟურნალის გამოცემა.

ჩვენმა სასცენო ხელოვნებამ განვითარებისა და წინსვლის იმ წერტილს მიაღწია, როცა მისთვის აუცილებელი და საჭიროა საკუთარი ორგანო, ერთის მხრივ, როგორც მის მიღწევათა აღმბეჭდელი და, მეორეს მხრივ, როგორც ტრიბუნა, სადაც აზრთა შეხლა შემოხლასა თუ ევროპის სასცენო ხელოვნების მიღწევათა გაშუქებით. გაიჩეხება და ჩამოყალიბდება ჩვენი თეატრის, ჩვენი სასცენო ხელოვნების სავალი გზები.

იყო დრო ჯოჯოხეთური, შავბნელი, როცა ქართული სასცენო ხელოვნება საქართველოში აბუჩათ იყო აგდებული, განდევნილი იყო ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრიდან; იყო დრო გასაჭირის, საშინელი გასაჭირის, უფულობის, სიმშილობის, უსახსრობის; იყო წუთები, როცა ჩვენს სულთმობრძავ ხელოვნებას სიკვდილი მოელოდა, მაგრამ ჩვენი თეატრის თავდადებულმა მუშაკებმა, რომლებიც უანგაროთ, თავდავიწყებით ემსახურებოდენ მას, გადაარჩინეს იგი სიკვდილს.

რევოლიუციამ ქართულ თეატრსაც აჰყარა ბორკილ-ხუნდები. მისცა მას თავისუფალი განვითარების საშუალება. მაგრამ ჩვენს ბორკილ აყრილ განთავისუფლებულ თეატრს მაჯლაჯუნასავით აწვა წარსული მთელი თავისი შედეგებით: არ იყო საშუალებები, არ იყო ხელმძღვანელი, არ იყო პატრონი და,—რაც ჩემის აზრით მთავარი არის,—არ იყო ქართული აუდიტორია. ჩვენი ინტელიგენცია, მცირეოდენის გამოკლებით, რევოლიუციის პირველ წლებში ძლიერათ განიცდიდა თვითმპყრობელობის გამარუსებელ პოლიტიკას, გაურბოდა ქართულ წიგნს, ქართულ თეატრს.

საჭირო იყო შინაგანი კულტურული კრიზისის დაძლევა, რომ ჩვენ სასცენო ხელოვნებას მტკიცე საფუძველი შექმნოდა.

სკოლების გაეროვნებამ, ჩვენი ქვეყნის ყველა კუნჭულებში დაწყებულმა კულტურულმა მუშაობამ მოგვცა ახალი გენია, ქართველი ინტელიგენცია. თეატრს გაუჩნდა აუდიტორია.

დღეს ჩვენი თეატრი აღარ არის გერის მდგომარეობაში, მასზე ზრუნავენ, მას ჰყავს პატრონი, მას ჰყავს კარგი დასი, მას ჰყავს აუდიტორია, მას აქვს რეპერტუარი, მას ჰყავს ჯადოსანი რეჟისორი—კოტე მარჯანიშვილი, რომლის მარტო სახელია საკმაო, რომ ჩვენმა თეატრმა ხალხი მიიზიდოს.

სათეატრო ინსტიტუტში მზადდება ჩვენი თეატრის „რეზერვები".

ბრწყინვალე მომავალი ეშლება ჩვენს თეატრს. ახლა საჭიროა სარკე, რომელშიც აისახება ჩვენი თეატრის გარშემო და მის შიგნით დაწყებული მუშაობა.

ასეთი სარკე უნდა იყოს „სახიობა".

აკაკი ფალავას წერილში მოცემულია ის პროგრამა, რომელიც უნდა შეასრულოს ჟურნალმა. დიდი და მრავალფეროვანია ეს ამოცანა, მგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთელი მშრომელი ხალხის მიერ ზურგ-გამაგრებული ჩვენი სასცენო ხელოვნება და მისი ორგანო ამას შეასრულებენ.

მხოლოდ არ უნდა დაივიწყონ ერთი ლოზუნგი:

-- ახლო მშრომელ ხალხთან.

მრავალი საინტერესო მასალა და წერილია მოთავსებული ჟურნალში. თითქმის ყველა ამ წერილს ზეიმის ბეჭედი აზის, რადგან ჟურნალი ჩვენი თეატრის საიუბილეო დღეს გამოვიდა. ბევრის მეტყველია ეს დღე ჩვენი თეატრის ყველა მოყვარისათვის, და ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჟურნალი რედაქციამ მასალებიც ამ დღისათვის შესაფერი შეარჩია.

წერილებს გარდა, ჟურნალს მრავალი სურათი აქვს დართული. ჩვენ არ შეუდგებით ჟურნალში მოთავსებული მასალის განხილვას ცალ-ცალკე დარწმუნებული იმაში, რომ მეორე ნომერი ამის უფრო მეტ საშუალებას მოგვცემს.

გამოცემულია მეტად ლამაზად და ლაზათიანად.

ვერიდებოდი, მაგრამ არ შემიძლია არ ავღნიშნო ერთი სამწუხარო ნაკლი. ჟურნალში მოთავსებულია თითქმის ყველა იმათი სურათი, რომლებმაც მთელი სიცოცხლე შესწირეს ქართულ სასცენო ხელოვნებას ან ახლა ემსახურებიან მას.

მაგრამ არ არის სურათი ა. წუწუნავასი, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ქართული თეატრის წინაშე.

სამწუხარო ნაკლია, რომ ის ერთი სიტყვითაც არ არის მოხსენებული.

ამაგი არავისი არ უნდა იყოს დავიწყებული.

ევ. შავიზღვისპირელი.

წერილი
კვირიკე ჩოგურდანიძეს ქუთაისში

კვირიკე ჩემო!

ვიცი გაგიკვირდება ამ წერილს რომ წაიკითხავ. მე თფილისის ქალაქში მოვადინე ბრუგა და მოგეცა ღვთის წყალობა მე აქანა ვცხოვრობდი?! ქუთეისში, რომ ვიყავი, ცივმა ქადმა გამიხრინწა კისერი და იმიტომ იყო, რომ ბოლო დროს მე და შენ ვერ ჩავაჭინჭილეთ. აქანა, მოგეცა ღვთის წყალობა, მე ნაირნაირი საჭმელები მქონდეს!

აგერ ეს სამი დღეა მაინც, კოკინიაა აქანა და სიმღერებს და ქეიფს სულ კიკინ-კიკინი გოუდის.

ისე, ჩემო კვირიკე, ცგოვრება დუღს და გადადუღს. დღე არ გავა ისე, რომ ტრამვაიმ და ანტონობილმა სამი დი ოთხი ბოვში ან მოხუცი არ გასრისოს, მარა, არც შოფერი და არც ბატმანია თუ რაცხა მაინდა მაინც პასუხს არ იგებენ იმიტომ, რომ სადილზე ღვინო და არაყი მიურთმევია და მთვრალი იყოო..

ჩერონიცის ამბავს თუ იკითხავ, მიდის და მიდის ზეით, მარა რამდენი ჩერონიცი მიდის—იმდენი ტრამვაის ბილეთებიც ზეით მიდის და მიდის ასე რომ მალე ტრამვაის ბილეთებიც; ჩერონცებათ გადეიქცევა.

რაც შეეხება ფართალს, მოგეცა ღვთის წყალობა აქანა იყოს?.. აქანა არის „სინიდიკატი“, თუ „სინიდისის კარტია“, თუ რაცხა არ ვიცი, ტანისამოსის ფართალს რამდენიც გინდა მოგცემს, მარა თლათ გაგიშავებს, გაგიწითლებს, გაგიყვითლებს პერანგს, ხელებს, კისერს.. სიმაგრით არა უმავს, ერთ თვეს მაინც გაგიძლებს, ასე რომ ვისაც აცვია გარედან მტრებს უყენებს თვალებს და შიგნიდან მოყვარეს.

ტრიატები შენ ქე გიყვარს და მოგეცა ღვთის წყალობა, ჩემო კვირიკე, აქანა იყოს?!.. მალე რუს თაველის ტრიატში „ცხრა თავიან მდევს“ დადგამენ. ვინცხა ახალმოდის ფუტურისტს დოუწერია ათი მოქმედება თურმე და ასი სურათი. გარდა ძველი არტისტებისა, ყველა ახალგაზდა არტისტები რაც საქართველოშია მიიღებენ მონაწილეობას. ეე! ჩემო კვირიკე ეცადე მაშვინ ჩამონვიდე და ნახავ სეირს.

ახლა კი შვიდობით. ღმერთს ვთხოვ შენ სიცოცხლეს, მალე პასუხის მოწერას. ჩემი ანდრესი ასეა: თამაშვეის ყოფილი ქარვასლა, მეორე სართულში „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში ი. იმედაშვილს, გადასაცემათ ფილიპე ბარბაქაძეზე.

შენი ძმა და მეგობარი: **პილიპე ბარბაქაძე.**

გოროდ თფილისი.

რასა სწერენ ჩვენს შესახებ

სომხური გაზეთი „მარტაკოჩი“ (1923 წ. ქრისტეშ 29 № 255) ჩვენი ჟურნალის შესახებ წერილში „თეატრი და ცხოვრება“—საკვირაო ჟურნალის ხელახლად გამოცემა“ სწერს:

„ამ თვის 9-დან თეთრათ მოსილმა იოსებ იმედაშვილმა ხელახლად დაიწყო თავისი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“-ს გამოცემა; მაგითი შეავსო ქართული ეხლანდელი პრესის ის ნაკლი, რომელიც ფრიად საგრძნობი იყო. ეხლანდელი გამოცემა გარეგნობით არაფერში განსხვავდება იმავე ჟურნალის ყოფილი გამოცემისგან: ფორმატი, სივრცე და კანი ერთი და იგივეა, ხოლო შიგ მოთავსებული მასალა კი საყურადღებოა—, ყოველი შეეხება ახალ მწერლობას და თეატრის ცხოვრებას. „თეატრი და ცხოვრების“ ყოფილი თანამშრომლებისგან არიან ივ. გომართელი, ტრ. რამიშვილი, ი. გრიშაშვილი და სხ. ჟურნალში მოთავსებულია ახალი პიესები. პირველ ნომერში დაბეჭდილია ქართველთა ცნობილი დრამატურგის ტრ. რამიშვილის „სიყვარულის საზღვართან“, ახალი პიესა, რომელიც ნაწილ-ნაწილ იბეჭდება ჟურნალის ნომრებში. პიესა საყურადღებოა.

პირველ ნომერში არის აერედვე ჰოვ. თუმანიანის ერთი ლექსი, ი. გრიშაშვილის კარგი თარგმანით.

როგორც პირველი ნომერი, აგრედვე მეორე ნომერიც იკითხება დიდის ინტერესით, მდიდარია როგორც წერილებით, აგრეთვე სურათებით.

ჟურნალის მეორე ნომერში არის მუშა მწერალი გიგო ხუჩუაშვილის სურათი და მოკლე შენიშვნა მისი 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ. წერილია აგრეთვე სახალხო სახლის (ყოფილი ზუბალაშვილისა) 30 წლის გამო, სურათები სახალხო თეატრის დამაარსებელთა, მათ რიცხვში დრამატურ გ. სუნდუკიანცისაც.

ქაღალდი და გამოცემა ფრიად კარგია, მარტივი და სუფთა, ცალკე ნომერი ღირს 15 კაპ. ჩერვ. ძვირი არ არის.

ჩვენი სალამი „თეატრი და ცხოვრება“-ს ჟურნალის განახლებას; ვისურვებთ, რომ ჟურნალს თავი მოუყაროს ახალ ძალებისათვის, რომელნიც ჩვენი თანამედროვე ცხოვრებას ყოველის მხრით დაასურათებენ მის ფურცლებზე. **ს. ავჩიანი.**

ლადო მესხიშვილი—რასპლიუევის როლში.

რედაქტორი: **იოსებ იმედაშვილი.** გამომცემელი: **ომში დაჭრილთა შრომის არტელი „ახალი წრე“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივი ცხოვრება

ინვალიდთა შრომის.

გასული წლის დამლევს მოსკოვში მოხდა სრულიად რუსეთის ინვალიდთა კოოპერატიულ გაერთიანებათა მეორე ყრილობა.

ყრილობაზე მოხსენება გააკეთა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარმა ამბ. მილიუტინმა. თავის სიტყვაში მოახდინა მიმოხილვა წლის განმავლობაში ინვალიდთა ნადებში წარმოებულ საორგანიზაციო მუშაობისა და შეეხო მომავალში გადასაჭრელ ამოცანებს. აღნიშნა რა, რომ პირველ ხანებში ექვის თვალით და უნდობლათ უყურებდენ ინვალიდთა კოოპერაციის საქმეს, რომ თითქოს იგი გადაიქცეოდა ინვალიდთა კონტრ-რევოლიუციონურ შეკავშირებათ, მან ექვები გაფანტულათ აღიარა, არა მარტო იმ ფაქტით, რომ შესაძლებელი შეიქმნა ინვალიდთა კოოპერაციის განსაზღვრულ ორგანიზაციის სახით ჩამოყალიბება, არამედ იმ საბუთითაც, რომ ინვალიდთა მასსა აღმოჩნდა უაღრესათ რევოლიუციონურად განწყობილი. არა სრული ცნობებით, მთელ კავშირში ამ ჟამად ითვლება კოოპერატიულ გაერთიანებაში 50,000 ინვალიდი. მომავალში კიდევ მეტი იმედია ამ რიცხვის წარმატებით ზრდისა. მიზეზები წარმატებისა მდგომარეოთს მასში, რომ პირველმა ყრილობამ დაისახა სწორი გზა —ინვალიდთა ორგანიზაციის მოწყობა მათი ეკონომიურათ დაინტერესების ნიშნის ქვეშ. მეორეს მხრივ მიზეზი თვით ინვალიდებშია ღრმათ ფესვგადგმული; ეს—მათი ძლიერი ლტოლვა შრომისადმი, რაც უკვე გამოიჩინეს. გარდა ამისა საქმის კეთილსვლელობას ხელს წყობდა მჭიდრო კავშირი საბჭოთა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატსა და ინვალიდთა კოოპერატიულ გაერთიანების ორგანიზაციას შორის. ყოველივე ამან საბოლოოთ შეარყია და მოსპო მოსაზრება ინვალიდთა კოოპერაციის საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესების ფარგლებიდან განდევნისა და ჩამოცილებისა როგორც ცენტრში, ისე ადგილ ბზე. მომხსენებელი არდგენს მიზანშეწონილ გეგმას მომავალში ნაყოფიერი მუშაობის წარმოებისას, მათი ტრესტებთან უშუალო დამოკიდებულებისა და სათანადო კომერციულ ნაბიჯების გადადგმის შესახებ. იგი ჩერდება კითხვაზე შრომისა და სავაჭრო ნადების შესახებ. უპირატესობას აკუთვნებს პირველთ, რომელთაც საფუძველათ უდევთ შრომისა და წარმოების პრინციპი, ხოლო მეორეთა არსებობას აუცილებლათ სთვლის, როგორც ამ გარდამავალ ხანაში ინვალიდთა ნივთიერად მომაგრების ორგანიზაციებს. ადგილებში ეჭჩნევა ტენდენცია წვრილი ნადების მსხვილ ნადებთან შეერთებისა და გათქვეფისა, რა საც თან ახლავს ზოგჯერ არასასურველი მხარენ ეს —მათზე გაერთიანების საქმის ძალით მოხვევა. ეჭჩნევა აგრეთვე უარყოფითი მოპყრობა ნაციონალურ ნადების დაარსებისადმი, რაც მომხსენებლის აზრით შეცდომასა წარმოადგენს და იგი პირიქით სასურველად აღიარებს ნაციონალურ ნადების დაარსებას, რაიცა მუშაობას გაადვილებს.

მომხსენებელმა აუცილებლათ მიაჩნია კერძო კაპიტალის მიზიდვა და მისით სარგებლობა საქმის საკეთილდღეოთ. მომხსენებელი უარჰყოფს მოსაზრებას ინვალიდებისთვის სახზოგადოებრივ სასელსნოების დაარსების შესახებ, რადგან ადვილი შესაძლებელი იქნება ამ სახელოსნოების ინვალიდთა საექსპლოატაციო დაწესებულებათ გადაქცევა. ეს ეწინააღმდეგება სურვილს ინვალიდების შრომაში ჩაბმისას თვით მათშივე თვითმოქმედების განვითარების გზით. მომხსენებელი ეხება ინვალიდთა კოოპერაციას სოფლად. აქ მას სთვლის მეტად სუსტად და გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტებთან მჭიდრო კავშირის გამბმით იგი ყრილობას აღუთქვამს ქ ლაქისა და სოფლის ნამდვილ დაახლოებებას და სოფელშიაც ინვალიდთა ცხოვრების გაუმჯობესებას. მომხსენებელი ყრილობის ყურადღებას აქცევს აგრეთვე ინვალიდთა მასაში და ორგანიზაციებში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ფართოდ დ ყენების საკითხს და მიხნათ სახავს ინვალიდთა წრეებისთვის გონებრივ საზრდოს მოწოდებით სულიერ სიმშილის მოსპობას. ყრილობაზე აღძრულ ყველა საკითხების გადაჭრას და მოგვარებას დაახლოვებით ასეთივე გეგმით და ამავე მასშტაბით ანხორციელებენ ს. ს. ს. სახალხო უზრუნველყოფის კომისარიატი და მასთან მის მფარველობასა და მზრუნველობაში მყოფი ომში დაჭრილთა შრომის არტელები.

ხელოვნების ქრონიკა

თეატრი.

6. შიუკაშვილის პიესას „ციცისათვე“ ამზადებს ახალგაზრდა რეჟისორი ბ. ღვამიჩავა. პიესა დაიდგმის სახალხო თეატრში იან. 25-ს.

ტასო ამაშიძის 25 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე გაიმართება თებერვლის 10 რუსთველის თეატრში. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ, სხვათაშორის მისი შშობელნი—მაკო და ვასო ამაშიძენი.

ᲓᲠ. ᲛᲣᲨᲐᲝ.

ვასო ბალანჩიავაძემ დასწერა ახალი პიესები: 1. „გლეხი ივლიანე გობეჩია“, კომედია 3 მოქ., 2 „ცხრა იანვარი“, რევოლიუციონური დრამა გაპობნის ცხოვრებიდან, 5 მოქმ.

ახალგაზრდა ქართველ ებრაელმა პოეტმა გერცელ ბაბოშემ დასწერა ახალი ორიგინალური პიესა „ᲛᲘᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ“. მოიწონეს. რეპერტუარში შეიტანეს. გადაეცა ა. მარჯანიშვილს.

ახალი მისტიური ტრაგედია „დემნა“ დასწერა ᲠᲘᲜ. მრეველიშვილმა 5 სურათად პიესა და წერილია ახალი ყაიდაზე.

სვ. წერეთლის პიესა „შავი ჯვარი“ სარეპერტუარო მომისიამ მოიწონა.

ს. ილორიელმა დასწერა ახალი 1 მოქ. პიესა 1905 წ. ხანიდან „რევოლიუციის ნაპერწკალი“.

ხხ3. დასგ3ა

ვახტანგ კოტეტიშვილი არკვევს ალ. ყაზბეგის ხელთნაწერებს, რომელთა შორის ბევრი საყურადღებო მასალაა. გამოკვლევა ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება.

თ. ხუსკივაძე გარდაიცვალა. დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

სრ. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირმა მოქმედება განაახლა იანვ. 9-ს შესდგა კრება, რომელმაც მოისმინა რა მოხსენებანი კავშირის მდგომარეობისა და მიზნების შესახებ, აირჩია გამგეობა: იოსებ გედევანიშვილი, ს. ეული გ. ხერხეულიძე, პ. ქიქოძე, ნ. ზომერთელი, ა. ბაჯიაშვილი, შ. ნავთლუღელი და სხ.

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კავშირის კრება შესდგა იანვ. 13, კამერულ თეატრის დარბაზში. საქართველოს არალეგალური პრესის აღორძინება-მოღვაწეობის შესახებ. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფ. მახარაძემ. აირჩია საგანგებო კომისია მუშა კორესპონდენტთა და ბეჭდით საქმის კლუბის მოსაწყობად.

ტფ. ალმასკომის თანამშრომელთაგან მუშა-მგოსნის გიგო ხერხეულიძის იუბილეს გამო იოსებ იმედაშვილის სახელზე მიღებულია შემდეგი: „ვინაიდან ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო შეწირულებანი და ლექსი, მიძღვნილი გ. ხერხეულიძისადმი, თვის დროზე ვერ იქნა გამოგზავნილი, აშისათვის ახლა გეგზავნებათ შემოწირულებანი ალმასკომის თანამშრომელთაგან 2. 065.000.000 მან. და ადგილკომის მხრივ—1 ჩერვ. დანიშნულებისამებრ გადასაცემად, ხოლო ლექსი „რაბ. პრავ." გამოსაშვებად". ფული გ. ხერხეულიძეს გადაეცა, ლექსი—„რაბ. პრ"-ს.

კომ. ნ. სულხანიშვილის ოჯახობა თურმე დიდს ნივთიერ გაჭირვებას განიცდის.

მწიგნობრობა.

მივიღეთ საქართველოს მსახიობთა კულტურული კავშირის ჟურნალი სასცენო ხელოვნებისა „სახიობა", აკაკი ფაღავას რედაქტორობით ნომერი გამოცემულია საუცხოვოდ, შეიცავს 106 გვ., დასურათებულია და ღირს ორი მან. და ათი შაური ჩერვ. გულწრფელად მივესალმებით რა ჩვენს ახალ თანამოძმეს, დაწვრილებით შემდეგ შევეხებით.

ტერენტი გრანელის ლექსთა კრებულის II წგ. იბეჭდება

ჩვენი მეცნიერება, ყოველთვიური სამეცნიერო კრებული, № 7—8, სხვადასხვა გამოკვლევებით მივიღეთ, ფასი 80 კ ჩერ. დაწვრილებით შემდეგ.

ხალხურ მწერალთა ორგანო „ჩვენი ძალა". ამ მოკლე ხანში გამოვა. ჟურნალში განსაკუთრებით ხალხის წრიდან გამოსული მწერლები მიიღებენ მონაწილეობას, უმთავრესად მუშა კალმოსანნი.

ჟურ. "პირამიდები"-ს გამოსვლა განზრახულია თებერვლის გასულისთვის.

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია ამით აცხადებს, ჟურნალ **„თეატრი და ცხოვრება"-ს მკითხველების** საყურადღებოთ,

რომ ყოველგვარი დაკვეთა მიიღება ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციაში (რუსთაველის პროსპექტი № 26)
აგრეთვე ექსპედიცია აცნობებს **პროვინციის მკითხველებს,** რომ მას ჰყავს სხვადასხვა
ქალაქსა და დაბაში კონტრ აგენტები, რომელთანაც შეიძლება შეძენა როგორც
ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-სი ისე ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთების კონტრ-აგენტები:

1. ქ. ქუთაისში **ტყაბლაძე**
2. ლანჩხუთში **ურუშაძე**
3. ახალსენაკში **ესებუა**
4. ხონში **გალდავაძე**
5. ფოთში **ქადიეშვილი**
6. თელავში **ჩიტოშვილი**
7. ჭიათურაში **თოდრია**
8. გორში **მაჭავარიანი**
9. ოზურგეთში პოლიტ-განათლება **ბარამიძე**
10. სუფსაში **ტაგიძე**
11. ჩოხატაურში **ცინცაძე**
12. სიღნაღში **თევდორაშვილი**
13. ზუგდიდში **პარტკომი**
14. სად. თბილისში **მარშანია**
15. ხაშურში **ფოველი**
16. აბაშაში **მიქაძე**
17. სამტრედიაში **ახობაძე.**
18. ყვირილაში **ცხომელიძე**
19. ბათუმში **ნიკოლაშვილი**
20. შორაპანში **გველესიანი**
21. ხარაგოული მუშ კოოპერატივი
22. რიონში **სალუქვაძე.**

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგის მაგ. კუპრიშვილი.

კახელ მევენახეთა ამხანაგობა

კახური ღვინო

საერთო

ინახება საუკეთესო ხარისხის

კახური

ბუნებრივი ღვინოები

როგორც წითელი, აგრეთვე თეთრი,

ხელმისაწვდომ ფასებში

იყიდება წვრილად და ბითუმად.

ბელინსკის ქ, № 9.

პატივისცემით საწყობის გამგე **ს. მ. ქართველიშვილი.**

6 ლ. სამხ. ცენზ. № 918. სტამბა „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტირაჟი 2000